# ნაკადული

ეროვნული ბიბლიოთეკა

140
2005



# საქართველოს მომავალი



თბილისის 51-ე
საშუალო სკოლა, I კლასი,
ხელმძღვანელი მზია ხარაიძე



მცხეთის რ-ნი, ციხისძირის
საშუალო სკოლა, II კლასი,
ხელმძღვანელი შორენა ბაქრაძე



თბილისის 147-ე
საშუალო სკოლა, I კლასი,
ხელმძღვანელი
მადონა ლორთქიფანიძე



მცხეთის მე-2
საშუალო სკოლა, I კლასი,
ხელმძღვანელი
მედეა მიქელაძე



მცხეთის რ-ნი, გალავნის
საშუალო სკოლა, IV კლასი,
ხელმძღვანელი
გულიკო ჩოხელი



და-ძმა
ანა და ლუკა რურუები

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2005 წ. №4

ჩვენი ჟურნალი 1904 წლის სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაფუძარზეა აღმოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი“ ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო ---------- 2
ქვეყნის მომავალზე ფიქრით (ერთი დღე მცხეთის რაიონის სკოლებში) ---------- 3
ზურაბ ვარაზანაშვილი – ცხენი (მოთხრობა) ---------- 9
მსოფლიო კიდით კიდემდე ---------- 12
„ოდოოშხერი“ ---------- 13
როგორ იღებდნენ ფილმს ადამიან-ობობაზე ---------- 16
„სადუნის“ დღევანდელი და ხვალინდელი დღე ---------- 18
ყველაზე საოცარი და ვერაგი კუნძული ---------- 20
ვიქტორინა „ჭკუის კოლოფებისათვის“ ---------- 24
ფეხსაცმელი არ ტყუის ---------- 26
სიცილის გაკვეთილი ---------- 31
„იჭიკო-ბიჭიკო“ ---------- 32

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 76157
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში



# „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი"



## ერთობლივი ბანაკები ქართველი და უკრაინელი ბავშვებისთვის

26 მაისს საქართველოში ერთობლივი ქართულ-უკრაინული ახალგაზრდული ბანაკები ამოქმედდება, ბანაკები საირმეში და ბაზალეთის ტბაზე მოეწყობა.

თითოეულ ბანაკში ერთ ნაკადზე 10 დღის განმავლობაში უფასოდ 250 ბავშვი დაისვენებს. სულ კი ბანაკებში 26 მაისიდან 20 სექტემბრამდე 15 ათასი ბავშვის დასვენებაა დაგეგმილი. ივლისის თვეში ბანაკებს 100 უკრაინელი ახალგაზრდა ეწვევა, აგვისტოში კი 100 ქართველი ახალგაზრდა ყირიმში, არტეკის ბანაკში დაისვენებს. ბავშვებს ექნებათ კარგი კვება, გართობა.

## ცრუ სატელეფონო ზარისთვის მოსწავლე დიდ ჯარიმას გადაიხდის

შს სამინისტროს თანამშრომლებმა ცრუ სატელეფონო შეტყობინებისთვის დააკავეს თბილისის 23-ე სკოლის მოსწავლე გიორგი ბასილაშვილი, რომელმაც გაკვეთილების გაცდენის მიზნით, საპატრულო პოლიციაში დარეკა და სკოლაში ნაღმის არსებობის შესახებ შეატყობინა, თუმცა ადგილზე გადამოწმების შემდეგ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა.

ცრუ სატელეფონო შეტყობინების ავტორის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება, სამაგიეროდ ამ დანაშაულისათვის მას 500-დან 3000 ლარამდე ჯარიმის გადახდა მოუწევს.

## „მომავლის ხეივანი" ბავშვთა ქალაქში

თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მეთერთმეტეკლასელებმა ბავშვთა ქალაქ „მზიურში" საპატრიარქოს მიერ მათთვის ნაჩუქარი 80 კვიპაროსის ნერგი დარგეს და ამით საფუძველი ჩაუყარეს კეთილ ტრადიციას, რომლითაც სკოლის დამთავრების აღსანიშნავად კურსდამთავრებულები გაპარტახების პირას მისულ „მზიურში" ხეებს დარგავენ ხოლმე. ახალგაზრდებმა ამ ტერიტორიას „მომავლის ხეივანი" უწოდეს.

## სახელმწიფო ენის დღე წერაქვში

მარნეულის რაიონის სოფელ წერაქვში, დიდი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში სახელმწიფო ენის დღეს გაიმართა ღონისძიება „სადაც ვშობილვარ, გაზრდილვარ", რომელიც პროექტის „მომავალი იწყება დღეს" ფარგლებში არაქართულენოვან რაიონებში წარგზავნილი პედაგოგების მიერ იყო ორგანიზებული. ღონისძიებაში მარნეულის რაიონის ქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებთან ერთად რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების გოგობიჭებიც მონაწილეობდნენ, რომლებმაც ქართულ ენაზე წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს ქართული სიმღერები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქვეყნის მომავალზე ფიქრით



*მცხეთის რაიონის სკოლების დღევანდელ დღეზე, მათ წარმატებებსა თუ საფიქრალ-საზრუნავზე, ამ სკოლებში რეფორმის მიმდინარეობაზე, დანერგილ თუ დასანერგ სიახლეებზე გვესაუბრება რაიონის განათლების განყოფილების გამგე უშანგი ხარშილაძე.*

**– ბატონო უშანგი, რამდენი სასწავლო დაწესებულებაა მთლიანად მცხეთის რაიონში?**

– სულ რაიონში 51 სკოლაა, მათგან 16 დაწყებითია, 10 საბაზო ანუ არასრული საშუალო, 23 საშუალო და ერთიც პროფილური, გარდა ამისა, გვაქვს მართლმადიდებლური გიმნაზია. მოსწავლეთა საერთო რაოდენობაა 10316, მცხეთის რაიონის 22 სახელმწიფო საბავშვო ბაგა-ბაღში კი 900-მდე ბავშვია. ყველა ამ სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებაში 1239 თანამშრომელია.

23692

**– თქვენ პროფილური სკოლაც დაასახელეთ, რით გამოირჩევა ის დანარჩენებისგან?**

– ეს ეკოლოგიური პროფილის სკოლაა და სოფელ წეროვანში მდებარეობს. მისი შექმნის იდეა ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა უკიდურესად მძიმე ეკოლოგიურმა ვითარებამ გვკარნახა. განათლების განყოფილების ეს ჩანაფიქრი ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს გავუზიარეთ, მან აზრი მოგვიწონა და მხარში ამოგვიდგა, სწორედ მისი დახმარებით დაკომპლექტდა და ამუშავდა რაიონში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ეკოლოგიური სკოლა, სადაც გაძლიერებულად ისწავლება ქიმია და ბიოლოგია. გვინდა, რომ აქ აღზრდილმა ბავშვებმა ზოგად განათლებასთან ერთად ეკოლოგიური ცოდნაც შეიძინონ და თუ მათი ნაწილი მაინც გარემოზე, ბუნებაზე ზრუნვას აირჩევს თავისი ცხოვრების საქმედ, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩვენს ძალისხმევას ფუჭად არ ჩაუვლია.

**– ახლა მართლმადიდებლურ გიმნაზიაზეც ვისაუბროთ.**

– თორმეტი მოციქულის სახელობის მართლმადიდებლური გიმნაზია რვა წელია არსებობს, იგი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დავაარსეთ. პატრიარქისა და მცხეთის გამგეობის დახმარებით გიმნაზია ყოფილი მოსწავლეთა სახლის ბაზაზე განთავსდა. უწმიდესი და უნეტარესი დღესაც მფარველობს და დიდ ყურადღებას უთმობს მას. გიმნაზიაში ყოველწლიურად 12-12 მოსწავლეს იღებენ, მსურველები კი ორჯერ და სამჯერ მეტია ხოლმე. ისე, რომ აქ მხოლოდ სერიოზული კონკურსის გავლის შემდეგ ირიცხებიან. სადღეისოდ გიმნაზიაში რვა კლასია, თითოეულში 12-12 მოსწავლეა. გიმნაზიის დირექტორი გახლავთ სამების ტაძრის წინამძღვარი მამა ილია (ნასიძე).

**– როგორ მიმდინარეობს სკოლებში რეფორმა?**

– რეფორმის პროცესი ჩვენს სკოლებში თამამად დაიწყო და თანდათან ძალას იკრებს. თითო-ოროლა საკითხის გარდა, ჩვენი პედაგოგ-მასწავლებლები იწონებენ და მიესალმებიან რეფორმით გათვალისწინებულ სიახლეებს და მზად არიან აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში. დღეს საერთო კურსი იქითკენ არის აღებული, რომ ნებისმიერი ცოდნის შეძენისას ბავშვს მარტო დასწავლა-დამახსოვრება კი არა, ამასთან უთუოდ კრიტიკული აზროვნებაც, ამა თუ იმ საკითხზე დამოუკიდებლად მუშაობაც უნდა შეეძლოს, რადგანაც მხოლოდ ასე შეძენილი ცოდნა დაეხმარება მას მომავალში. ახალი ამოცანები, პრინციპები და მეთოდები ახალ მიდგომებს, გაკვეთილების ახლებურად აგებას, შესასწავლი მასალის ორიგინალურად მიწოდებას მოითხოვს. ეს თითოეულმა ჩვენმა მასწავლებელმა გააცნობიერა და ამიტომაც ყველანი სერიოზულად მუშაობენ საკუთარ თავზე. მცხეთის №1 სკოლის ბაზაზე რეგულარულად ტარდება ტრენინგები მასწავლებლებისათვის, ტრენინგებში სიამოვნებით მონაწილეობენ ყველა ასაკის პედაგოგები და მზადყოფნით ითვისებენ ყველაფერს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს თანამედროვე სწავლებაზე გადასვლას. არსებული შესაძლებლობების ფარგლებში ვაუმჯობესებთ სკოლების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ადგილობრივი გამგებლის ბატონ ვახტანგ ყიფშიძის გადაწყვეტილებით რაიონის 26 სკოლამ მიიღო 462 ახალი მერხი და 58 საკლასო დაფა, მცხეთის ცენტრში აგებული სპორტდარბაზი უზრუნველყოფილია საჭიდაო ტატამით, მოგვარებულია მასწავლებლებისთვის ხელფასების დროულად დარიგების საკითხი, სკოლების ნაწილი აღჭურვილია კომპიუტერებით... შეიძლება ყოველივე ეს არც ისე ბევრია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ტენდენცია გამოიკვეთა, პროცესი დაიწყო და ხვალ და ზეგ ამ მიმართულებით უფრო მეტი და მეტი გაკეთდება, – ამის იმედს კი უკვე გაკეთებული იძლევა.

გამრავალფეროვნდა კულტურულ-შემეცნებითი თუ გასართობი ღონისძიებები როგორც ადგილზე, სკოლებში, ისე რაიონისა და ქალაქის მასშტაბით. ხალისით მონაწილეობენ ბავშვები მოსწავლე ახალგაზრდობის დღეებში, საქართველოს დამოუკიდებლობის, ბავშვთა მხოფლიო დღის, 9 აპრილის, დედა-ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში, რომელთა მომზადებაში თითოეულ სკოლას შეაქვს თავისი წვლილი (*დედა-ენის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი იმ დედა-ენის ძეგლთან ტარდება, რომელიც მცხეთაში უშუალოდ ბატონ უშანგის ინიციატივითა და ძალისხმევით დაიდგა ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილზე. რედ.*).

დროის მოთხოვნების შესაბამისი ეროვნული სკოლა ჩვენთან ახლაღა ყალიბდება და ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ახლო მომავალში, როდესაც სკოლას მეტი დამოუკიდებლობა მიეცემა და ის საჯარო სამართლის პირად ჩამოყალიბდება, ეს ბევრი სიახლის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს და საბოლოოდ იმ მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებას და სიახლეების დანერგვას წაადგება, დღეს რომ ჩვენი სკოლის წინაშე დგას – მისცეს მოსწავლეებს საფუძვლიანი ცოდნა, ასწავლოს მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენება, აღზრდოს განათლებული, ზნესრული ადამიანები. ამ მიზნისკენ ისწრაფიან მცხეთის სკოლებიც.





საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიყვარული სიყვარულის წილ



როდესაც ციალა გარსევანიშვილს ეკითხებიან, თქვენი სკოლის ყველა თაობის მოსწავლეების ასეთ გულწრფელ სიყვარულსა და პატივისცემას როგორ იხვეჭთო, იგი სათნო ღიმილით პასუხობს: ბავშვები გრძნობენ, რომ ისინი ჩემი კერპები არიან, რომ მე მიყვარს ისინი და თითოეულ მათგანს პატივს ვცემ. ჩემი და მოსწავლეების ურთიერთობაში გამორიცხულია დასჯა და დატუქსვა, როცა 6 წლის ბიჭუნას გაჯავრების მაგივრად, თბილად ვეტყვი, ეს არ უნდა გააკეთო, შენ ხომ კაცი ხარმეთქი, ის უსათუოდ შეიგონებს...

ოც წელზე მეტია ქალბატონი ციალა სკოლის დირექტორია და ამ ხნის მანძილზე არც ერთხელ არ უღალატია ამ პრინციპისთვის, სანაცვლოდ ასმაგი უკუგებით მიღებული სიყვარული კი ამ ორი გრძნობის ულევ საბადოს ემატება. როგორც ყოველთვის, დღესაც მისი ფიქრები დღედაღამ ბავშვებს დასტრიალებს, ბოლო დროს კი ჩვეულ საფიქრალს განათლების რეფორმის თანმდევ პროცესებზე ზრუნვაც დაემატა. აქ, ამ სკოლაში, მთავარი გეზი ყოველთვის იქით იყო აღებული, რომ ბავშვებს მხოლოდ მასწავლებლისთვის ჩასაბარებლად ანუ ერთი დღისთვის კი არ გაეზუთხათ მასალა, არამედ ეაზროვნათ, მასწავლებლის დახმარებით ჩასწვდომოდნენ მოთხრობის, განტოლების, ფორმულის თუ ამოცანის არსს და ყოველდღიურად შეევსოთ ის აუწონავი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვია. ხოლო როცა მიმდინარე რეფორმამ ერთ-ერთ მოთხოვნად მოსწავლეების დამოუკიდებელი აზროვნება წაუყენა, მცხეთის №2 სკოლაში ამას გაორმაგებული ყურადღება დაუთმეს. ნოვაციების დასანერგად მასწავლებლებიც სიამოვნებით გადიან თრენინგებს, ითვისებენ ახალ მეთოდებს და მიდგომებს. ყოველივე ამის შედეგად კი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი შედარებით უმტკივნეულოდ გადადის ახალ კალაპოტში. ქალბატონი ციალა და სკოლის მთელი კოლექტივი კმაყოფილები არიან იმ პირველი შედეგებით, რომლებიც სიახლეების დანერგვას მოსდევს, ერთი ის არის, რომ მათი აზრით, შეიძლება ნიშნების გაუქმებამ უარყოფითად იმოქმედოს მოსწავლეთა დამოკიდებულებაზე ამა თუ იმ საგნისადმი, მათი პასუხისმგებლობის გრძნობაზე, თუმცა ამ გადაწყვეტილების მართებულობის საბოლოო შეფასებასაც დროს ანდობენ. ამ სკოლის კიდევ ერთი გამორჩეული მახასიათებელი ის გახლავთ, რომ თითოეული ბავშვი, როგორც კი სკოლის ზღურბლს გადმოაბიჯებს, მაშინვე ისისხლხორცებს, რომ ეს მათი მეორე სახლია, და რომ ისინი უნდა გაუფრთხილდნენ მას, თითოეულმა უნდა მოუაროს მას. სწორედ ამიტომ ვერ ნახავთ აქ წარწერებით აჭრელებულ კედლებს, გაფუჭებულ მერხებს თუ სხვა სასკოლო ინვენტარს, თუმცა, რა თქმა უნდა, დრო მაინც თავის დაღს ასვამს სკოლის მეურნეობას და ისევე როგორც ქვეყნის ბევრ სხვა სასწავლო დაწესებულებაში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქაც საჭიროებს განახლებას.



პედაგოგებს მხარში უდგას ორგანიზატორთა საბჭო, რომელშიც შედიან ყველა კლასის ორგანიზატორები, სულ 16 მოსწავლე. საბჭო ეხმარება სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს, ზრუნავს დისციპლინაზე, თავის სიტყვას ამბობს ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტამოგვარებაში. ეფექტურია ლიდერთა საბჭოს საქმიანობაც. ამ საბჭოში უფროსკლასელი ბიჭები შედიან, ისეთები, რომლებიც ავტორიტეტით სარგებლობენ მოსწავლეებში. მათი ძალისხმევით სკოლაში არასდროს არ მწვავდება არც ერთი სადავო საკითხი თუ სიტუაცია. ამ ბიჭებს მასწავლებლები თავის საყრდენ ძალად მოიაზრებენ.

სკოლაში ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის მხატვრულ-შემეცნებითი ღონისძიებები: დამშვიდობება ზამთართან, შემოდგომის ზეიმი, საახალწლო დისკოთეკა, ბოლო ზარის ზეიმი, დედაენის დღე, დედის დღე, გამოდის ყოველთვიური ხელნაწერი გაზეთი და სხვა. რამდენიმე წელია მოქმედებს ქველმოქმედთა კლუბი, რომლის წევრები შეძლებისდაგვარად ეხმარებიან ხელმოკლე ოჯახების ბავშვებს, ღართისკარის დასახლებაში მცხოვრებ მოხუცებს და ა.შ.

მშობლიურ სკოლაზე ზრუნვის გამოხატულებაა ისიც, რომ ხატვის ნიჭით გამორჩეულმა მოსწავლეებმა გადაწყვიტეს საკუთარი ნამუშევრები საჩუქრად დაუტოვონ სკოლას, პირველი ასეთი ნამუშევრები უკვე ამშვენებს სკოლის კედლებს.

ასე ცხოვრობს მცხეთის №2 საშუალო სკოლა, რომლის მეგობრულ ოჯახად შეკრული კოლექტივი ცოდნით აიარაღებს, სიკეთესა და სიყვარულს უნერგავს იმ გოგო-ბიჭებს, რომლებიც ხვალ-ზეგ ახალი საქართველოს მაშენებელთა რიგებში ჩადგებიან და საკუთარი წვლილს შეიტანენ ამ მამულიშვილურ საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პირველი სასიკეთო ძვრები სახეზეა



საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლა ერთ-ერთი უძველესია მცხეთის რაიონშიც და მთელ საქართველოშიც. ილიას დაღუპვის შემდეგ მისმა ქვრივმა ოლღა გურამიშვილმა საგურამოში სკოლის გახსნის თხოვნით მიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და 1908 წელს სოფელში, რომელიც აგრერიგად უყვარდა ილიას, მართლაც გაიხსნა სასწავლებელი. თავიდან ეს შვიდწლიანი სკოლა იყო, მერე რვაწლიანად გადაკეთდა, ბოლოს კი საშუალო სკოლად ჩამოყალიბდა. საუკუნეს მიტანებულ ამ სასწავლო დაწესებულებას დიდი ილიას სახელიც ძალიან ბევრს ავალებს და ის მდიდარი ტრადიციებიც, მთელი ამ ხნის განმავლობაში საგურამოელ მოსწავლე-მასწავლებელთა მიერ რუდუნებით რომ იქმნებოდა და თაობიდან თაობაში გადაეცემოდა.

ამჟამინდელი დირექტორი მარინა შამხალაშვილი იმ დროს ჩაუდგა სკოლას სათავეში, როდესაც საქართველოში შინაარეულობა და განუკითხაობა სუფევდა. ცხადია, გაუჭირდა, მაგრამ ხასიათის სიმტკიცემ, ნაკისრი პასუხისმგებლობის დიდი მნიშვნელობის შეგნებამ, კოლეგა-პედაგოგების მხარში დგომამ, იმდენი შეაძლებინა, რომ საგურამოს სკოლამ ვაჟკაცურად გამოიარა ის პერიოდი და მისი ცხოვრება ჩვეული კალაპოტითა და რიტმით წარიმართა. ქალბატონ მარინასთვის აქაურობა ორმაგად ძვირფასია – თავის დროზე თვითონაც ეს სკოლა დაამთავრა და მისი ყველა კუთხე-კუნჭული ზეპირად იცის, ეს მხრებგაშლილი გოლიათი ნაძვებიც, დღეს რომ სკოლის ეზოს ამშვენებენ, თავისი ხელით დარგო, როცა აქ სწავლობდა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტის შემდეგ სამართალმცოდნეობის ფაკულტეტიც დაამთავრა და ქიმიისა და სამართლის მასწავლებლად მოევლინა მშობლიურ სკოლას. მოწაფეობის, მერე კი სტუდენტობის წლებში გამომუშავებული ორგანიზატორული მუშაობის ჩვევები და წინამძღოლის თვისებები დაეხმარა ღირსეულად გამოევლო ყველა საფეხური. იგი სავსებით დამსახურებულად გახდა სკოლის დირექტორი და დღემდე უნარიანად უძღვება არცთუ ადვილ მოვალეობას. ქალბატონი მარინა ერთ-ერთი იმათაგანია, ვინც სადი გონებით გულდასმით აწონ-დაწონა ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის აუცილებლობა და მრავალი სიახლის სასიკეთო შედეგებიც გაიჭვრიტა. იგი მიესალმება ჯანსაღ კონკურენციას, რომელიც ჩვენთვის, ყველასთვის, პირველ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე იქნება და მიაჩნია, რომ ნიჭიერ, მომზადებულ ახალგაზრდებს ცოდნას არ დაუკარგავენ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების უფლებას ჭეშმარიტად ღირსეულები მოიპოვებენ.

ამ გამოცდების სამართლიანობა-ობიექტურობის ხარისხის შესამოწმებლად კი მარინა შამხალაშვილს ძალზე მარტივი საზომი აქვს – თუ ჩვენი კურსდამთავრებული, რომელიც სკოლაში სწავლის მთელი ხნის განმავლობაში სუსტი და ზარმაცი მოსწავლე იყო, გამოცდებს წარმატებით ჩააბარებს, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ გამოცდებზე უსამართლობა სუფევდა.

ქალბატონ მარინას სავსებით მისაღებად მიაჩნია მასწავლებელთა ატესტაციაც და სკოლის დირექტორებისთვის შემოღებული კონკურსიც. – ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მზად ვარ გავიარო კონკურსი, – ამბობს იგი – ცხადია, თუ ვერ გავიმარჯვებ, გული დამწყდება. მაგრამ აღზრდა-განათლების საქმის რიგით ჯარისკაცად დავრჩები და მაინც გავაკეთებ იმას, რაც სკოლას სჭირდება, ხოლო თუ რა სჭირდება სკოლას, ზედმიწევნით კარგად ვიცი... რეფორმის ჩარჩოებში მიმდინარე ცვლილებებს შორის ისეთებიც არის, რომლებიც, სხვა მისი კოლეგების მსგავსად, მ. შამხალაშვილსაც ბოლომდე გამართლებულად არ მიაჩნია, თუნდაც იგივე სკოლის ფონდის გაუქმება. დღევანდელ პირობებში, როცა სკოლებს ბევრი ყველაზე ელემენტარული რამეც კი აკლია, სკოლის ფონდის აკრძალვის შემდეგ ბევრგან ცარციც კი სანატრელი გახდა. თუმცა სასურველამდე ჯერ კიდევ შორია, საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლაში უკვე გრძნობენ და ხედავენ ახალი კურსის პირველ, მართალია, არც ისე მასშტაბურ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან სასიკეთო ძვრებს. სკოლებისადმი ყურადღება-ზრუნვის გაძლიერებას როგორც განათლების სამინისტროს და ადგილობრივი გამგეობის, ისე საზოგადოების მხრიდანაც. ამ ზრუნვის გამოხატულებაა, მაგალითად, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტისგან საჩუქრად მიღებული 10 კომპიუტერი, საკრებულოს მიერ შეძენილი 300 ლარის მინები და სხვა. ალბათ აღარც ის დროა შორს, როდესაც ჩვენი სკოლები სრულად აღიჭურვება უახლესი ტექნოლოგიებით, პროგრამებით, როდესაც განახლდება და ძირეულად შეიცვლება მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შესაბამისად ამაღლდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურობაც და, რაღა თქმა უნდა, სკოლების დირექტორებსა და მასწავლებლებს ცარცი კი არა, სულ სხვა საფიქრალი ექნებათ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა სკოლა მხრებს გაშლის



სოფელ გალავნის საშუალო სკოლა ამავე სკოლის პედაგოგის, აწ გარდაცვლილი ქეთევან გარაყანიძის სახელს ატარებს, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ აქაური მასწავლებლებიც, მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც უდიდეს პატივს სცემენ და აფასებენ პედაგოგის შრომას, კარგად ესმით მისი ფასი და ყადრი, ხოლო თავად მასწავლებლები ამასთან საკუთარ უდიდეს პასუხისმგებლობასაც აცნობიერებენ.

დღეს სოფლის ამ პატარა სკოლასაც (გალავნის საშუალო სკოლაში 14 კლასი, 280 მოსწავლე და 28 მასწავლებელია) ისევე არ ულხინს, როგორც ბევრ სხვა სკოლას საქართველოში – სრულყოფილებისგან ძალზე შორსაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამორტიზებულია დიდი ხნის გაურემონტებელი შენობა, არ აქვთ არც ერთი კომპიუტერი, ავარიულ მდგომარეობაშია და ამდენად გამოუყენებელი რჩება



სპორტული დარბაზი, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... მაგრამ აკი ჩვენს ხალხს უთქვამს თუ გული გულობსო... და გალავნელი პედაგოგები, სკოლის ენერგიული დირექტორის ნინო კვანჭიანის ხელმძღვანელობით არსებულ პირობებშიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა განათლებული, ზნეკეთილი, შრომისმოყვარე, სამშობლოს ერთგული მამულიშვილები აღუზარდონ ქვეყანას და უნდა ითქვას, რომ კიდევაც უფასლდებათ გარჯა. დაფასებაა, აბა რა არის, როდესაც სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებისთვის პირდაპირ სკოლის მერხიდან ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებლებში ქეთევან ზურაბიშვილი, დავით გარაყანიძე, ძმები სისაურები, ვანო კახობერაშვილი, ქეთინო დორეული, თინიკო დორეული და სხვები. ამ ახალგაზრდებმა ძირითადად მათემატიკის განხრით გამოიჩინეს თავი და ეს, ცხადია, პირველ რიგში მათემატიკის მასწავლებლის, ღირსების ორდენის, კავალერის და მრავალი სხვა სახელმწიფო ჯილდოს მფლობელის, ქალბატონ მარიამ ჩიტაშვილის დამსახურებაა.



გალავნელი მასწავლებლები გაგებით შეხვდნენ განათლების სისტემის გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმების კურსს და ეჭვი არ ეპარებათ, რომ ამ პროცესის ხელშესახები სასიკეთო შედეგები სულ მალე იჩენს თავს – მთელი ჩვენი პედაგოგიური კოლექტივი იწონებს ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემას, გვჯერა, რომ ბოლოს და ბოლოს ცოდნა იზეიმებს და უმაღლეს სასწავლებლებში ნამდვილად ღირსეული ახალგაზრდები ჩაირიცხებიან, რაც იმის საწინდარი იქნება, რომ საქართველოს საქმის მცოდნე, ყოველმხრივ მომზადებული სხვადასხვა დარგის პროფესიონალები ეყოლება, რომლებიც ქვეყნის აყვავება-გაძლიერებას შეუწყობენ ხელს, – გვითხრა ქალბატონმა ნინომ და ისიც დასძინა, რომ იწონებს და მხარს უჭერს სკოლის დირექტორის არჩევის იდეას, რადგან მიაჩნია, რომ სკოლის ხელმძღვანელი პედაგოგიური კოლექტივის, მასწავლებლებისა და მათი მშობლების თანადგომით უნდა უძღვებოდეს საქმეს და თუ ის მათთვის არასასურველი იქნება, ვერც საქმეს გაუძღვება რიგიანად. – იცით, თუ ვიგრძნობ, რომ მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს არ ვუნდივარ, თვითონვე არ მოვინდომებ დირექტორად დარჩენას და უთქმელად დავთმობ ადგილს, – ღიმილით აღნიშნა ნინო კვანჭიანმა. სავსებით მისაღებად მიაჩნიათ გალავნის საშუალო სკოლაში სამეურვეო საბჭოს შემოღებაც, რადგან თვლიან, რომ მშობლებს ახლო კავშირი უნდა ჰქონდეთ სკოლასთან, ისინი ღრმად უნდა იყვნენ ჩახედულები მისი ცხოვრების ყველა ნიუანსში, სკოლა – საზოგადოება – ოჯახი ის ჯაჭვია, რომლის ერთი რგოლის ამოვარდნაც უარყოფითად აისახება იმ პროცესებზე, სკოლაში რომ მიმდინარეობს. მას შემდეგ რაც სკოლები იურიდიული პირები გახდებიან – ეს პროცესი კი საქართველოს სკოლებში ა.წ. სექტემბრიდან უნდა დაიწყოს – სხვა ბევრ რამესთან ერთად მათი დაფინანსების საკითხიც მოგვარდება და მაშასადამე, გალავნის სკოლაშიც მოხერხდება საკლასო ოთახებისა და კაბინეტების გარემონტება და საჭირო ინვენტარითა თუ თვალსაჩინოებებით აღჭურვა, კომპიუტერული კლასის ამოქმედება, მერხების გამოცვლა (ახლახან მცხეთის რაიონის გამგეობის ძალისხმევით სკოლამ 20 ახალი მერხი მიიღო), სპორტული დარბაზის მწყობრში ჩაყენება, (გალავნელი გოგო-ბიჭები კარგი ფიზიკური, სპორტული მონაცემებით გამოირჩევიან, აქაურები არიან, მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონები, მოჭიდავეები მუზაშვილი და ჩოხელი, და იმედია, რომ თუ მათ სკოლის სპორტდარბაზის სახით სრულფასოვანი სავარჯიშო ბაზა ექნებათ, აქ აღზრდილი ახალგაზრდები არაერთი წარმატებით გაახარებენ ქართველ სპორტის მოყვარულებს), შემდეგ კი სკოლა თავისუფლად გაშლის მხრებს და მისი აღზრდილები ქმედით წვლილს შეიტანენ ახალი საქართველოს მშენებლობის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელმწიფო ენა ყველამ უნდა იცოდეს



ციხისძირის საშუალო სკოლა ერთ-ერთი გამორჩეულია მთელ საქართველოში. საქმე ის გახლავთ, რომ ეს არის ქართული სკოლა, რომლის მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ აზერბაიჯანელი გოგო-ბიჭები, რომლებიც ქართველ, ასირიელ და რუს თანატოლებთან ერთად ყველა საგანს ქართულ ენაზე სწავლობენ. ბუნებრივია, ადგილობრივ აზერბაიჯანულ ოჯახებში მშობლიურ, აზერბაიჯანულ ენაზე ლაპარაკობენ, სოფლებში საბავშვო ბაღი არ არის და გამომდინარე ამ ორი ფაქტორიდან, პატარები ქართული ენის უცოდინარები შედიან სკოლაში. მაგრამ აქ დანერგილი ექსპერიმენტული ჯგუფების პრაქტიკისა და ფაკულტატური სწავლების



მეთოდის წყალობით (პირველ ხანებში თარჯიმნობას დაწყებით კლასებში უფროსკლასელი მოსწავლეები სწევენ), დაწყებით კლასებში ისინი იმ დონეზე ეუფლებიან ქართულს, რომ უკვე მეოთხე კლასიდან, შეიძლება ითქვას, უპრობლემოდ აგრძელებენ სწავლას, ხოლო სკოლის დამთავრების შემდეგ ზოგი მათგანი თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სხვადასხვა ქართულენოვანი ფაკულტეტის სტუდენტი ხდება და წარმატებით ეუფლება არჩეულ სპეციალობას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა მაგალითად, ციხისძირის სკოლადამთავრებულმა ოქტაი ქაზუმოვმა, ამავე უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული ელეონორა ქაზუმოვს, სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და მცხეთაში ექიმად მუშაობს ჯუანშერ ბაბაევი, სხვებმა – ზოგმა უმაღლესი ეკონომიური, ზოგმა კი იურიდიული განათლება მიიღეს.

სკოლას ათი წელია ციური ხარანაული ხელმძღვანელობს, რომელიც მანამდე აქვე მათემატიკას ასწავლიდა. ციხისძირელები ხედავენ, როგორ ზრუნავს ქალბატონი ციური მათ შვილებზე, როგორ უწყობს მათ ხელს განათლების მიღებაში, საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ჩამოყალიბებაში და დიდ პატივსაც სცემენ მას. მოწიწებას, სიყვარულსა და პატივისცემას კი იმითაც გამოხატავენ, რომ აუცილებლად პატიჟებენ ქორწილებსა თუ ნათლობაში და როგორც ერთ-ერთ ყველაზე საპატიო სტუმარს თავს ევლებიან. მასში ისინი გულთბილ, წრფელ მეგობარს ხედავენ და ამიტომაც ვერ ელევიან. თუ ყური მოჰკრეს, რომ მათ საყვარელ ციური მასწავლებელს სხვა სკოლაში გადაყვანას ან თუნდაც დაწინაურებას უპირებენ, მთელი სოფელი ფეხზე დგება და არსადაც არ უშვებს მას. ასეთი დამოკიდებულება ქალბატონმა ციურიმ კიდევ იმითაც დაიმსახურა, რომ პატივს სცემს აზერბაიჯანელთა სარწმუნოებასა და ტრადიციებს და რომ სკოლაში სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის პატივისცემა დაამკვიდრა. ამიტომაც აზერბაიჯანელ მოსახლეობაში ქართველი ხალხის, მისი ტრადიციების, ენისა და სარწმუნოების პატივისცემაც უმტკივნეულოდ დაინერგა. დიდი ღვაწლი მიუძღვით პირადად ციური ხარანაულსა და სკოლის მთელ კოლექტივს იმაში, რომ ციხისძირში მცხოვრებმა ადამიანებმა გაიცნობიერეს ქართულის – სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობა და უფროსი თაობა ყველანაირად უწყობს ხელს საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებს მის შესწავლაში. ქართული ენის შესწავლის პარალელურად მოსწავლეები ქართულ ტრადიციებსა და კულტურასაც ეზიარებიან. უნდა ნახოთ, რა მონდომებით სწავლობენ აზერბაიჯანელი ბავშვები ქართულ ცეკვებს (ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელია ინგა წონკილაური) და ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილები მონაწილეობენ კონცერტებში, ოლიმპიადებსა თუ კონკურსებში. აპრილში მცხეთაში ადგილობრივი განათლების რაიონული განყოფილების ძალისხმევით გამართული დედა-ენის ზეიმზე პატარა ციხისძირელმა აზერბაიჯანელებმა ქართული ლექსებიც სხაპასხუპით ჩაარაკრაკეს და ქართული ცეკვებიც საუცხოოდ



შეასრულეს, რითაც ძალიან გაახარეს საკუთარი მასწავლებლებიც და დამსწრე საზოგადოებაც. ყველაზე მეტი სიხარული კი წარმატებულმა ქართულენოვანმა დებიუტმა თავად პატარებს მოუტანა, რომლებიც უფრო მეტი ხალისით შეუდგნენ ახალი მხატვრულ-მუსიკალური პროგრამის მომზადებას. დღესდღეობით ციხისძირის სკოლას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფილად წასამართად ბევრი რამ აკლია, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მიმდინარე რეფორმების შედეგად, მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს ადგილობრივი ხელმძღვანელობის დახმარებით და თავად სკოლის კოლექტივის ძალისხმევით საქმე უკეთესობისკენ წავა. ქალბატონმა ციურიმ მოამზადა და უკვე წარადგინა პროექტი, რომელიც პირველკლასელთა დახმარებას ისახავს მიზნად, გრანტის მიღების და ქსნის საკრებულოს, ქსნის მინის ტარის ქარხნის მხრიდან დაპირებული თანადაფინანსების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება კომპიუტერის, სხვადასხვა ვიდეო და აუდიომასალის შეძენა, რაც მკვეთრად გააადვილებს და გააუმჯობესებს ქართული ენის სწავლებას და მაშასადამე, მთლიანად სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შედეგიანობასაც გაზრდის.

# ჩვენი საყვარელი ბიბლიოთეკა

ეს პატარა თბილი სახლი თავისი გულთბილი დიასახლისებით ჩემთვის ძალზე ნაცნობი და ახლობელია. ახლობელია დედასავით, რომელიც თავისკენ გიზიდავს. დიახ, გიზიდავს, როგორც ანდამატი. – თავს არ შეგაწყენთ, ცოტა შორიდან დავიწყებ!.. მინდა, იცოდეთ, რომ ზაფხულის ცხელი თვეები და დღეები, როცა არსადაა წასასვლელი – არც მთაში და არც ზღვაზე – ჩემთვის და ბევრი ჩემნაირი ბავშვისთვის ნამდვილ ოაზისად იქცა საგარეჯოს საბავშვო ბიბლიოთეკის პატარა დარბაზი, სადაც არა მარტო ახალ წიგნებსა და გამოცემებს ვათვალიერებდით და ვკითხულობდით, არამედ ვიღებდით რჩევა-დარიგებას, სიყვარულს, ალერსს. როგორ არ ვუთხრა მადლობა, მათ წინაშე თავი როგორ არ მოვიხარო, ისინი ხომ ცხოვრებას გვიადვილებენ, ლამაზ დღეებს გვჩუქნიან. იცით, რამდენი მხატვრული ღონისძიება და საღამო მოვამზადეთ და ჩავატარეთ? ეს ხომ მათი დამსახურებაა. ეს სამი ლამაზი ქალბატონი ჩემი მეგობარი, ჩემი მრჩეველია ჩემი დამრიგებელია.

მინდა, ყველა ჩემს თანატოლს ხმამაღლა ვუთხრა, რომ ეწვიონ საბავშვო ბიბლიოთეკას, აქაური დიასახლისები სტუმართმოყვარენი არიან და ისინი შუამავლობას გაგიწევენ წიგნებთან, სამყაროსთან, რომელიც რატომღაც ბავშვებმა, მეორე და, ვინ იცის, იქნებ ბოლო ადგილზეც გადაიტანეს. რა თქმა უნდა, კარგია კომპიუტერი, მასზე ათასგვარი თამაში, სერიალები, ცეკვა და გართობაა, მაგრამ დამერწმუნეთ, წიგნს არაფერი შეედრება. აბა, დააკვირდით, როცა კარგ წიგნს წაიკითხავ, როგორ იცვლება შენი ცხოვრებაც, როგორ გინდა, რომ მიბაძო წიგნის გმირს და ნელ-ნელა თავისთავად კითხვის გემოვნებაც გიყალიბდება... მე აქ ვისწავლე რა უნდა წავიკითხო, რა უნდა დავინახო ამა თუ იმ მოთხრობისა თუ ლექსის მიღმა.

ჩვენი ბიბლიოთეკა გარკვეული დროით დაიხურა და ჩვენ, მისმა მუდმივმა სტუმრებმა, ცოტა არ იყოს მოვიწყინეთ, მაგრამ ახლახან მისი კარი კვლავ ფართოდ გაიღო მკითხველებისათვის.

მადლობა ამ პატარა სახლის დიასახლისებს, მადლობა რაიონის გამგეობას, რომ გაგვირემონტეს, გაგვიახლეს ბიბლიოთეკა, ვარდისფერ საბურველში გაახვიეს იგი და ასე გაალამაზეს.

**ნინო ჩერქეზიშვილი,**
ქ. საგარეჯოს მე-4 საშუალო სკოლა, IX კლასი.

## ერთი თქვენგანი

# ომარ სულაშვილი



ომარი საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეა და პარალელურად თბილისში, ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიაშიც სწავლობს. ხატვა სულ პატარამ დაიწყო, უფრო ადამიანების, ზღაპრების და მულტფილმების გმირების ხატვა უყვარდა, ყველაზე ხშირად კი თავის უფროს დას ლელას ხატავდა. დროთა განმავლობაში გამოიკვეთა პატარა მხატვრის განსაკუთრებული ინტერესი პორტრეტისადმი. ხელოვნების გიმნაზიაში ომარი მას შემდეგ ჩაირიცხა, რაც მისი „წიქარა" მოიწონეს. მეცადინეობებზე ომარი საგურამოდან დადის და ამიტომაც ზოგჯერ მათი გაცდენა უწევს. თუმცა გაცდენილს სახლში მუშაობით ანაზღაურებს და ამდენად გიმნაზიელ ამხანაგებს ტოლს არ უდებს (ომარის დედა, ქალბატონი მეგი, ხატვის მასწავლებელი გახლავთ). ამჟამად ომარი ძირითადად გუაშში მუშაობს, გრაფიკაში იწაფავს ხელს. საგურამოელი ბიჭის ნამუშევრები უკვე გიმნაზიაშიც გამოიფინა და ქარვასლის საგამოფენო დარბაზშიც. ქარვასლაში წარმოდგენილ ერთ-ერთ ნამუშევარში ომარმა ასეთი სიუჟეტი გააცოცხლა – წვიმს, ძაღლმა თავისი სახლი კრუხს და წიწილებს დაუთმო, ამ სცენას ქოლგიანი გოგონაც ესწრება. ეს ყველაფერი ისე სახიერად, მეტყველად არის გადმოცემული, რომ მნახველს მყისიერად გადაეცემა განწყობა, ყმაწვილ მხატვარს რომ ჩაუქსოვია ნამუშევარში.

ომარს ძალიან უყვარს ცხოველები, შინ ორი ძაღლი ჰყავთ – კიკი და თათა, მათ გარდა ფისო მაუც ჰყავთ, კუც და თუთიყუშიც და თუმცა ძალიან დატვირთულია, მათ მოსავლელად და მისაფერებლად ყოველთვის პოულობს დროს. სულაშვილებს კიდევ ერთი ძაღლი ჰყავთ – მონადირე როკი. ომარის მამა ბატონი მიხეილი ნადირობის ტრფიალი გახლავთ და მოცალეობის ჟამს საგურამოს შემოგარენში ნადირობს, ომარი კი მამას ერთადერთი მიზნით – ხელის შესაშლელად დაჰყვება ხოლმე. როგორც კი მამა მიზანში ამოიღებს ფრინველს თუ ნადირს შვილი სხვა მხარეს გაახედებს, ან თითქოს უნებურად ხელს აუკრავს ხოლმე თოფზე და გახარებული გაადევნებს თვალს გადარჩენილ მწყერს თუ კურდღელს...



ომარის კიდევ ერთი გატაცება და დიდი სიყვარული სიმღერაა, ძალიან უყვარს ქართული ხალხური სიმღერები და სხვა სიმღერებთან ერთად მათაც შესანიშნავად ასრულებს. ერთხანს ცეკვაზეც დადიოდა, სოლოსაც ასრულებდა რამდენიმე ქართულ ცეკვაში. ნიჭიერ და შრომისმოყვარე ბიჭს კარგად ესმის, რომ ინგლისურისა და კომპიუტერის გარეშე ცხოვრებაში გზის გაკვლევა და საკუთარი ადგილის დამკვიდრება გაუჭირდება და ამიტომაც გულმოდგინედ სწავლობს ერთსაც და მეორესაც.

რამდენი რამ ჩამოვთვალეთ ამ ნიჭიერ ყმაწვილზე წარმოდგენა რომ შეგვექმნა თქვენთვის – ხატვა, სიმღერა, ცეკვა, ცხოველები, კომპიუტერი, ინგლისური, ფეხბურთი კი კინაღამ დაგვავიწყდა. არადა, ომარი ფეხბურთელობაზეც ოცნებობს, გატაცებით უყურებს მსოფლიოს საუკეთესო გუნდების მატჩებს და გული წყდება, რომ ქართული ფეხბურთი ასე ჩამორჩება ევროპულ დონეს. მას შინ სხვადასხვა გუნდის სპორტული ფორმების კოლექცია აქვს და იმედი აქვს, რომ თანდათან კიდევ უფრო გაამდიდრებს მას. ომარის საყვარელი ფეხბურთელი გოჩა ჯამარაულია, საყვარელი გუნდი კი „ინტერი"...

ვნახოთ, რომელი გატაცება გადასძლევს, მრავალმხრივი ნიჭის რომელი წახნაგი წარმოჩინდება მომავალში სხვებზე მეტად, რა გზას აირჩევს ჩვენი ჩანახატის გმირი სკოლის დამთავრების შემდეგ. იმის თქმა კი ახლავე შეიძლება, რომ ომარ სულაშვილის სახით ქვეყანას ნიჭიერი, გონიერი, მოაზროვნე და ზნეკეთილი ადამიანი ეზრდება. რომელიც, რა ასპარეზიც უნდა აირჩიოს საქმიანობისთვის, თავის წვლილს შეიტანს სამშობლოს აყვავება-აღმშენებლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოთხრობა

გურამ
ვარაზანაშვილი

მხატვარი
ედუარდ ამბოკაძე

# ცხენი

მძიმედ დატვირთული ორთვალა ფერდობზე დაგორდა. კაცის ყვირილი და ცხენის ჭიხვინი ერთდროულად გაისმა. ცხენმა უკანა ფეხებზე ჩაიჩოქა, – სცადა შეემაგრებინა ქვებზე მოხტუნავე ორთვალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა: ცალი თვალი ორმოში გადაყირავდა და ხელნებში გაბმული ცხენი მიწაზე დაახეთქა.

წისქვილთან თავშეყრილი ხალხი იქით გაიქცა...

ცხენმა თვალები დააბრიალა, ლაშებიდან დუჟში არეული სისხლი გადმოუვიდა, თავი წამოსწია, წამოდგომა სცადა, მაგრამ თასმებსა და მოსართავებში მაგრად იყო გაბმული. ხელნაც მხარზე დაბჯენოდა და ადგომის საშუალებას არ აძლევდა.

ცალუღმა წაუჭირა ყელში. ცხენი ახროტინდა.

– ვუშველოთ, ხალხო, ცოდვაა ცხენი! – იყვირა ვიღაცამ.

რამდენიმე ახალგაზრდა ხელნებს ეცა, თასმები შეაჭრეს, განზე გაათრიეს ცხენი.

ორთვალას პატრონი თავში იცემდა ხელებს, გადმოყრილ ტომრებს დასტრიალებდა, მუჭით ხვეტდა მიწაზე დაბნეულ ხორბალს. გვიან გაახსენდა ცხენი.

გაახსენდა და ბრაზმაც დარია ხელი. მათრახი მოიმარჯვა, გამძვინვარებულმა მთელი ძალით გადაუჭირა.

– ადე, შე მგლის შესაჭმელო! – აღრიალდა.

ცხენმა უმწეოდ გაიქნია ფეხები.

– უყურეთ ერთი, როგორ გაიშხლართა ეს უპატრონო! – მათრახი კვლავ გადაუტყლაშუნა და ჭყივილით გარს შემოუარა, – დასვენებაც რომ მოინდომა!

მაღალ-მაღალმა ქოჩორა ახალგაზრდამ ვეღარ მოითმინა, მათრახზე ხელი უტაცა და პირქუშად შეუტია:

– საცემი თვითონა ხარ! შორიდან მოვლა დაგეზარა! ცხენისა რა ბრალია!

– ჩემი საქმისა მე ვიცი! – აღრენით მიუგო ცხენის პატრონმა და ისევ მიეტანა ცხენს.

ცხენი აქეთ-იქით აწყვეტდა თავს, შესაბრალისად ჭიხვინებდა, ადგომა კი მაინც ვერ მოეხერხებინა.

– ადე, შე უჯიშო შენა! – კვლავ ჯიუტად ეტანებოდა კაცი. –ადე, თორემ აქვე გაგაცხებინებ სულს!

– მოიცა! – დაიძახა ვიღაცამ, – ერთი უყურეთ და... მგონი, მხარი უნდა ჰქონდეს მოტეხილი.

– მხარი კი არა... – პატრონს ჰაერში გაუშეშდა მოქნეული მათრახი, სახე გაუფითრდა, ირგვლივ შემოუარა, დაკვირვებით შეათვალიერა.



მარცხენა მხარი არაბუნებრივად გამოსჩროდა ცხენს, ლამის იყო, კისრის დასაწყისიდან ტყავი ამოეგლიჯა.

– საცოდავი! – შეებრალა თავსაფრიან ქალს, – ხედავთ, როგორ წვალობს? განა თვითონ კი არ უნდა ადგომა!...

– მივეხმაროთ! – წამოიძახა ისევ მაღალ-მაღალმა ახალგაზრდამ და პირველი თვითონ მიეჭრა. სხვებიც მიეშველნენ, ზოგმა კუდში ჩაავლო ხელი, ზოგმა კისერი წამოუწია, ვიღაცამ კეტიც მოარბენინა. მუცლის ქვეშ შეუყარა: „აბა, ჰეო“! – დასძახეს და, როგორც იქნა, წამოაყენეს.

ცხენი ფეხზე დადგა, მარცხენა წინა ფლოქვს მიწაზე ვერ აკარებდა. ერთიანად თრთოდა და კანკალებდა. ოფლმა დაუსველა მთელი სხეული, თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა.

– უყურეთ, უყურეთ, ტირის კიდეც! – შეეცოდა თავსაფრიან ქალს. ყველა ჩაჩუმდა, უხმოდ მიაჩერდნენ პირუტყვს.

– ადამიანივით ღრიალი არ შეუძლია და მა რა ქნას! – თქვა ულვაშა გლეხმა.

პატრონი მიუახლოვდა, გავაზე გადაჰკრა მათრახი.

ცხენმა მტკივანი ფეხი აიკანჭურა, სამი ფეხით გადმოხტა წინ.

– რაღას ურტყამ, ვერან!.. ვერა ხედავ, მხარი აქვს მოტეხილი! – უყვირა ულვაშამ, – მაგას ახლა ცემა უნდა?

– მხარი ამასა და ჯანდაბა!.. – კვლავ შეუტია ცხენს პატრონმა. – მაშ ამოდენა ტომრები როგორ წავიღო შინ?!

– როცა დაფქვავ, შემატყობინე და მე გადაგიტან უსასყიდლოდ ჩემი მანქანით, ოღონდ მაგას თავი დაანებე, თავისი საცოდაობაც ეყოფა! – უთხრა მაღალ-მაღალმა ახალგაზრდამ. – ვისაც გინდა ჰკითხო, ყველა მოგასწავლის ჩემს ბინას... აქვე ახლოს ვცხოვრობ. ხვალ დილითაც აქ ვიქნები. თუ დაფქვას მოასწრებ, ხელად გადაგირბენინებ.

პატრონი ცოტა დამშვიდდა. ორთვალასთან მივიდა. ტომრების გადმოწყობას შეუდგა.

– ვიღაცამ დამთარსა დღეს! გაბრაზებით გადააფურთხა. – ეს ზარალიღა მინდოდა?

– შენა სტყუი და ახლა სხვას აბრალებ? – შეუწყრა ულვაშა. – მოდი, ტომარას ხელი ამიკარი, წისქვილამდე მიგატანინებ... ცხენს რას უზამ?

– აღარაფერში მარგია და ჯანდაბამდის გზა ჰქონია!

– წაიყვა შინ, მიხედე, ცოდვაა პირუტყვი!

– განა მე არა ვარ ცოდვა? – აყვირდა პატრონი, მერე გაავებით გადახედა ცხენს და ღვარძლიანად დაუმატა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი ურგები გინდ მგელს შეუჭამია, გინდ ტურას!

— შენ ძმაო, გატყობ კერპი კაცი ყოფილხარ! — მხრები აიჩეჩა ულეაშამ, ტომარა ზურგზე მოიგდო და წისქვილში გააქანა.

* * *

წისქვილის გვერდით, პატარა მოედანზე იდგა ცხენი და გარინდული ერთ წერტილს მისჩერებოდა. გასიებული ფეხი ოდნავ აეწია. მტკივან მხარზე ბუზები კბენდნენ. კუდის დაქნევის თავიც აღარ ჰქონდა, რომ მოეშორებინა აბეზარი მწერები. უპეებიდან დროდადრო ჩამოგორებული ცრემლი ძირს წკაპუნით ეცემოდა.

ტიროდა ცხენი...

საღამო ჩამოდგა. ადამიანები თავიანთ სახლებში გაიკრიფნენ. დაცარიელდა წისქვილის მოედანი. აქა-იქ ელნათურები აინთო. მარტო დარჩა ცხენი...

გზის გადაღმა ჭიშკარი გაიღო, ვიღაც ბერიკაცი გამოვიდა. ცხენს დაადგა თვალი, ახლოს მივიდა, გარს შემოუარა, დაკვირვებით შეათვალიერა. ერთი-ორჯერ ხელი გადაუსვა ზურგზე, მიეფერა.

ცხენი არ განძრეულა, ყურადღებაც არ მიუქცევია. მისთვის ახლა სულ ერთი იყო ყველაფერი. მარტოოდენ ჟრჟოლვა დაუვლიდა ხოლმე ხელის ყოველ მიკარებაზე, ნესტოები ებერებოდა.

— გტკივა, შე საცოდავო, არა? — შეეხმიანა ბერიკაცი, — მა რა იქნება, ადამიანები ვაი-ვიშით ქვეყანას შესძრავდნენ, შენ კი ჩუმად დგახარ და ითმენ ტკივილს.

ცხენმა ნელა მოიღრიცა კისერი, სევდიანი თვალებით შეხედა უცხო ადამიანს და გარინდა.

— ან კი ვინ გაიგებს, ბევრიც რომ იჭიხვინო! — ალერსიანად უთათუნებდა ხელს ბერიკაცი, — ახლა ვიღას სჭირდები!...

ცხენი მთელი ტანით ძაგძაგებდა.

— გცივა კიდეც? — ჩაეკითხა და თვითონვე უპასუხა: — მა რა იქნება, მხარი გაქვს მოტეხილი... ეგ კანკალიც მაგის ნიშანია... ბერიკაცი სწრაფად წაჩუსჩუსდა შინისაკენ. მალევე დაბრუნდა, თან ძველი პიჯაკი და ტომარა მოიყოლა. ცხენს მხარზე დააფარა, სახელოები ყელთან გაუნასკვა.

— აი, ახლა აღარა გიჭირს რა, თბილად იქნები. კაი ცხენი ჩანხარ, მე და ჩემმა ღმერთმა. ღვთის ანაბარა არ უნდა მიეტოვებინე პატრონს.

ბერიკაცმა ხელი მოუთათუნა შუბლზე, დაუყვავა.

— რას იზამ, ეტყობა, შენი ბედი ეგა ყოფილა... პატრონი კი ვერა გულია რიგიანი. შენ, ალბათ, თავს არა ზოგავდი მისთვის, მან კი, როცა გაგიჭირდა, მიგატოვა... აი და, და, და!.. ქვის გული ჰქონია, ქვის გული!..

მოხუცმა ახლა ბალახი მოუტანა, წინ დაუყარა.

— აჰა, მიირთვი! თუ არ ჭამე, გაგიჭირდება. მე ხვალაც განახავ...



მეორე დილით იღლიაში ამოჩრილი ბალახის კონითა და წყლით სავსე ვედროთი მიადგა ცხენს.

ცხენი იქვე იდგა. სადაც საღამოს დატოვა. წინ ხელუხლებლად ეყარა ბალახი.

— არ გესიამოვნა განა? — თავი მწყრალად გააქნია ბერიკაცმა. — ასე არ ვარგა, ძმობილო... ხომ გაგაფრთხილე, ჭამე-მეთქი, სხვანაირად ძალას ვერ მოიკრებ... ნახე, რა ქორფა ბალახი მოგიტანე...

კონა წინ დაუდო, ვედროც იქვე დაუდგა.

ცხენმა სცადა დახრილიყო, მაგრამ დასიებული მხარი ეტკინა და სწრაფადვე ასწია თავი.

— ოო, მივხვდი, მივხვდი! — დაფაცურდა ბერიკაცი, — მეც არ გამიკვირდა?! — ვედრო ხელში აიღო, პირთან მიუტანა, — დალიე, დალიე!

ცხენი ხარბად დაეწაფა...

— ბარემ ესეც მიირთვი, — ბალახის კონა ასწია ბერიკაცმა. ცხენმა პირი წაატანა ბალახს, მოზრდილი ბლუჯა გამოგლიჯა.

ბერიკაცი მცირე ხანს დაფიქრებული იდგა, მერე კვლავ ცხენს შეეხიტყვა:

— ასე ხელით ხომ არ გაჭმევ სულ, სირცხვილია, — თვალი მოავლო გარშემო, რაღაცას დაუწყო ძებნა, ბოლოს, მახლობლად მდგარ ტელეგრაფის ბოძზე შეაჩერა მზერა, — აი, ამ ბოძზე ჩამოგიკიდებ კონას... რას იტყვი, ჰა?.. მაგრამ არა, ძალიან გაწვალდები... მაშ რა მოვიფიქროთ? ჰო, რა თქმა უნდა, ან აქამდე როგორ ვერ მოვისაზრე.

ბერიკაცი შინისაკენ გაემართა. უკან მობრუნებულს ცალ ხელში ფიცრის ძველი ყუთი ეჭირა, მეორეში — ჩაქუჩი. მივიდა ტელეგრაფის ბოძთან და ცხენის თავის სიმაღლეზე მიაჭედა ყუთი. მერე ბალახი აიღო და ყუთში ჩაყარა.

— აი, ახლა არა უშავს რა! — თქვა ბერიკაცმა, განზე გადგა და მოწონებით შეათვალიერა თავისი ნამუშევარი. — აბა, ახლოს მობრძანდი!

ცხენი ბალახს მიაჩერდა, ყურები წინ წამოსწია, ცალი ფეხი აიკაუჭა, ნაბიჯი გადადგა.

— ჰო, მიდი, მიდი! — ბერიკაცმა გავაზე დაჰკრა ხელი, უბიძგა კიდეც.

— მართალია, გტკივა, მაგრამ რას იზამ, ცხოვრება ეგრეა მოწყობილი, ყველაფერს უნდა გაუძლო. აი, მე უკვე მოვხუცდი... ათასი რამ მაწუხებს, მაგრამ არა ვჩივი.

ცხენი, როგორც იქნა, მიხანხალდა სახელდახელო ბაგასთან, ბალახი დაყნოსა, მერე პირიც მოავლო.

— აი ეგრე! — ესიამოვნა ბერიკაცს. — წყალსაც ყოველ დილა-საღამოს მოგიტან. ოღონდ შენ მაგრად იყავი და გაუძელი. აბა, ნახვამდის, არ მოიწყინო, ვენახში ვარ წასასვლელი, თორემ არ მიგატოვებდი. საღამოს კი ახალ კონას მოგართმევ.

წისქვილთან მანქანა გაჩერდა, მეწისქვილე გადმოვიდა. ცხენთან მოფუსფუსე ბერიკაცი რომ დაინახა, განცვიფრდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რა, გიგავ! პატრონმა ზურგი შეაქცია და შენ გამოუჩნდი მფარველ ანგელოზად?

– ჰო, რა ვიცი კაცო... ვიფიქრე, ცოდოა-მეთქი... მაშ ეგრე ხომ არ მივატოვებდი, ღვთის ანაბარა, – გაეპასუხა ბერიკაცი და თავის ეზოში შევიდა.

* * *

გადიოდა დღეები. ცხენი მოედანს არ სცილდებოდა. იდგა თავისთვის და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა წისქვილთან თავშეყრილ, ლაპარაკის სალღერღელაშლილ ხალხს. უმეტესობას ხელი ჩაქნეული ჰქონდა, „მაგისი წერა გამოსულიაო“, – ამბობდნენ.

ორი კვირის თავზე ცხენს ფეხი ცოტა მოუშუშდა, თუმცა მხარი მაინც გამობერილი დაურჩა. ყუთში გამოულევლად ჰქონდა ბალახი. ზოგიერთი პურის ქერქსაც ჩაუგდებდა ხოლმე და ცხენსაც მეტი არა უნდოდა რა.

მოვლით კი ძველებურად ბერიკაცი უვლიდა. დილა-საღამოს მასთან ტრიალებდა, ასმევდა, აჭმევდა, წმენდდა, ეფერებოდა, თან დუდღუნით ათას რამეს უყვებოდა. ცხენიც მიეჩვია ჩია ბერიკაცს და მის ყოველ გამოჩენას ფრუტუნით ხვდებოდა.

– რად გინდა, გიგა პაპავ, ზედ რომ ხარ გადაყოლილი, სულ ერთია, ორთვალაში აღარ შეიბმება. – კვირვობდნენ საფქავზე მისულნი. – ეგ რომ მოსარჩენი ყოფილიყო, პატრონი კი არ მიატოვებდა.

– ეეჰ, შვილოსა, თქვენ სუ სარგებელი გელანდებათ, – ამოოხვრით იტყოდა ხოლმე ბერიკაცი, – იმას კი აღარ ფიქრობთ, რომ ესეც სულიერია, ღვთის გაჩენილია.

– ხომ ხედავ. საამქვეყნო პირი აღარა აქვს, მაგისი ტყავიც აღარ გამოდგება ახლა. დაარტყი თავში ცული და უბნის ძაღლები მადლობას გეტყვიან, –ურჩევდნენ ზოგიერთები.

– რათა, კაცო, რა დააშავა?... სიკეთის მეტი არაფერი უქნია ადამიანებისთვის, – არ ეთანხმებოდა ბერიკაცი.

ცხენიც თანდათან უფრო ეჩვეოდა ბერიკაცს, ერთადერთ მფარველად ისღა მიაჩნდა.

ცხენი, თუ მასთან ბერიკაცი არ იყო, ან თუ ბალახს არ ჭამდა, გარინდებული იდგა და ფიქრობდა, გეგონებოდა, საკუთარ მოგონებებშია ჩაფლულიო.

მოსაგონარი კი ბევრი არა ჰქონდა რა, გარდა იმისა, რომ მთელი თავისი დღენი ორთვალაში იყო შებმული და მისი ალმა-დალმა თრევით ქანცი ჰქონდა გაწყვეტილი. ბუნდოვნად თუღა ახსოვდა ის დრო, ჯერ კიდევ უდარდელი კვიცი დედას რომ დასდევდა კუნტრუშით. იქნებ დედის ალერსიანი ფრუტუნიც ახსენდებოდა. შესაძლოა ყოველივე ეს შორეული სიზმარივით ჩაჰყვა მის მახსოვრობას და სქელი ბურუსით დაფარული სულ სხვა სამყაროდ ეჩვენებოდა...

ერთი რამ კი არასოდეს ავიწყდებოდა: ორთვალაში პირველად შებმა, ფერდებზე მათრახის ტყლაშუნი და უდიერი შეძახილი...

ყოველივე ეს, ალბათ, ერთ ვეებერთელა დაუსრულებელ დღედ წარმოედგინა იმ დრომდე, ვიდრე იმ წყეულ ფერდობზე ორთვალა არ გადაყირავდა და თვითონაც მიწაზე არ დაენარცხა...

მერე კი საშინელი ტკივილი მხარში, მათრახის მწარე შხუილი და ეს ალერსიანი, ჩია ბერიკაცი...

მოსაგონარი ბევრი არა ჰქონდა რა, მაგრამ მაინც იდგა ფიქრებში ჩაძირული და გარინდული, სადღაც შორეთში გაიყურებოდა.

* * *

კიდევ ორი კვირა რომ გავიდა, თავად პატრონიც გამოჩნდა. გაოცებული დარჩა, ცხენი რომ ცოცხალი დაუხვდა. ჯერ შორიდან შეხედა, მერე ახლოს მივიდა, დაკვირვებით შეათვალიერა, გავაზეც მოუნდომა ხელის გადასმა.

ცხენმა ყურები ცქვიტა, ნესტოები დაებერა, ყრუდ ჩაიფრუტუნა და ცალფეხაკანჭურებული წინ გადახტა.

– როგორა ხარ, ლურჯავ? – წყნარად მიმართა პატრონმა. – არ მეგონა, ცოცხალს თუ გნახავდი, მაგრამ გაგიძლია, შე ძველო! – გარს შემოუარა და კვლავ წინ დაუდგა ცხენს.

ცხენმა თავი მოარიდა, შებრუნდა და ზურგი აქცია.

პატრონმა ისევ დაუარა თავს, ხელი მოუსვა კისერზე, მაგრამ ცხენმა არ მიიღო ალერსი, ისევ შეაქცია ზურგი.

– უყურე ერთი ამ სამგლეს, ვეღარა მცნობს! – პატრონის ხმაში უკმაყოფილება გამოკრთა. – ეე, ვერან! საით მიგაქვს ეგ კეტით გასახეთქი თავი?!

ცხენი ზურგშექცევით იდგა, მაგრამ ყურადღებით უთვალთვალებდა პატრონყოფილის ყოველ მოძრაობას. დროდადრო ზურგზე თრთოლვა გადაუვლიდა, თვალებს დააბრიალებდა და, მტკივანი ფეხი რომ არა, სულაც შორს გაეცლებოდა.

პატრონი გაბრაზდა, მათრახი მოიმარჯვა და გამეტებით გადაჰკრა გავაზე. ცხენმა მჭახედ დაიჭიხვინა, ტლინკები ჰყარა.

– მე შენ გიჩვენებ სეირს, მგლის კერძო! – დასჭყივლა კაცმა. განზე გადგა და ქვას დაავლო ხელი. – მე შენ გიჩვენებ.

ცხენს აინუნშიაც არ ჩაუგდია კაცის გაშმაგება. ზედაც არ მიუხედავს.

წისქვილთან ცნობისმოყვარენი შეგროვილიყვნენ. ჯერ მდუმარედ ადევნებდნენ თვალს ყოველივეს, მერე უკმაყოფილოდ აყაყანდნენ:

– გაუშვი, კაცო, რას გიშავებს?!

– დაანებე თავი!..

– ხომ ხედავ, აღარ უნდიხარ!

– ეგეც სულიერია!

– როცა უჭირდა, მაშინ მიატოვე და ახლა ეპატრონები?

– რა გონიერი ცხოველია, კაცო!

პატრონმა რაღაც ჩაიბუზღუნა, გაჯავრებით გადააფურთხა, მძიმედ გაშორდა ცხენს, მიდიოდა ნელა, მხრებში მოხრილი, დათრგუნვილი. ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა, რამ გამოცვალა მის ხელში გამოზრდილი ეს მორჩილი ცხოველი. მას არ ესმოდა ცხენისა და არც სურდა გაეგო. მასში მხოლოდ მუშა პირუტყვს ხედავდა, რომელსაც მარტო ის უნდა გაეკეთებინა, რასაც უბრძანებდა. ვერაფრით მიმხვდარიყო, აქამდე თვინიერი და დამჯერე, რამ გადარია აგრე...

გუნებამოშხამული ძლივს მიათრევდა დამძიმებულ ფეხებს. სანამ თვალს მიეფარებოდა, ერთხელაც მოიღრიცა კისერი და ცხენს გამოხედა დაბოღმილმა...

ცხენი კი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა წისქვილთან მოყაყანე ხალხს, არც მიმავალ პატრონს, ქვემოთ, ვენახებიდან მომავალი გზისკენ იყურებოდა და ნელა ტორავდა მიწას.

მან უკვე შენიშნა ბერიკაცი და მოუთმენლად მოელოდა მასთან შეხვედრას. ამჟამად ამ ჩია ბერიკაცის გარდა ქვეყნად არავინ არსებობდა მისთვის. ყურებდაცქვეტილ ცხენს კისერი გაეწვდინა და მოლოდინადქცეული ხმადაბალი ფრუტუნით გამოხატავდა თავის სიხარულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მსოფლიო კიდით კიდემდე

## ინდონეზია

### ცეკვის ენაზე

კუნძულ ბალის ყოველი პატარა გოგონა სამი წლიდან ოცნებობს გახდეს ლეგონგის მოცეკვავე. მაგრამ ამ უძველესი ცეკვის შესასწავლად მხოლოდ ყველაზე ნიჭიერ და ლამაზ გოგონებს არჩევენ.



ცეკვა ლეგონგის თითოეული მოძრაობა უაღრესად დახვეწილია და გარკვეულ აზრს შეიცავს. მოცეკვავეს უნდა შეეძლოს უსიტყვოდ მოუთხროს მაყურებელს ისტორია ღმერთების, მეფეების, მშვენიერი ნიმფების შესახებ. ბალერინები ერთდროულად ორ-სამ როლს ასრულებენ და ამასთან მყისიერად გარდაისახებიან. წარმოდგენა რამდენიმე საათს გრძელდება. მოცეკვავეებისთვის ყოველი გამოსვლა ნამდვილი დღესასწაულია, რომელსაც ისინი ყოველთვის გულისფანცქალით ელიან. ამ უძველეს ტრადიციულ ცეკვაში ჩაქსოვილი სიბრძნის დაუფლებას გოგონები ხუთ წელს ანდომებენ.

## იაპონია

### ვინ უფრო ლამაზად წერს

თუმცა, იაპონიაში დიდი ხანია წერისთვის ფართოდ იყენებენ ფანქრებს, ფლომასტერებსა და ბურთულიან კალმისტრებს, აქ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მელნითა და ფუნჯით ნაწერს. ყოველ წელს ამომავალი მზის



ქვეყანაში ტარდება კონკურსი ყველაზე ლამაზი ხელნაწერის ავტორის გამოსავლენად. კონკურსის მონაწილეებმა ქაღალდის გრძელ გრაგნილზე სპეციალური ფუნჯითა და მელნით რაც შეიძლება ლამაზად უნდა გამოიყვანონ ბედნიერების სურვილის გამომხატველი რამდენიმე წინადადება. ეს კი არც ისე იოლია, რადგანაც იაპონელები წერისას ასოებს კი არ იყენებენ, არამედ იეროგლიფებს, ხოლო მათი დაწერა (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, დახატვაო), არც ისე ადვილია. ამასთან ითვლება, რომ განათლებულმა იაპონელმა ქაღალდზე სამ ათასზე მეტი იეროგლიფის დაწერა უნდა შეძლოს. კალიგრაფიის (ლამაზად წერის) გაკვეთილები ყველა იაპონური სკოლის პროგრამაში შედის, სუფთა წერა კი ხელოვნებად ითვლება და ისეთივე პატივისცემით სარგებლობს, როგორითაც ფერწერა.

## რუსეთი

### ყველაზე პატარა მეზღაპრე

ექვსი წლის გიორგი სტაროდუბოვი, რომელიც ქ. ორიოლში ცხოვრობს, ყველაზე ნორჩი მეზღაპრეა რუსეთში. პირველი ზღაპარი ბიჭმა სამი წლის ასაკში შეთხზა, დღეს კი მისი ზღაპრები ბევრ ჟურნალსა და გაზეთში ქვეყნდება. მალე გამოვა გიორგის პირველი წიგნი. ახლახან გიორგი სტაროდუბოვი გახდა



ნორჩ მწერალთა კონკურსის ლაურეატი, რომელიც ჩაატარა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა ,,მსოფლიოს ბავშვები“.

ქართველი ბიბლიოთეკა



*ირმა ქილლაძე* *სამხერის რაიონის ჩიხის საშუალო სკოლის III კლასის მოსწავლეა. ირმა წყნარი, დინჯი, მორიდებული გოგონაა. მუდამ მზად არის მეგობრებს დაეხმაროს. უყვარს სიმღერა, ცეკვა, პატარ-პატარა ჩანახატების წერა და შესაბამისი ნახატებით გაფორმება. ეხერხება კერვა, თოჯინებს უკერავს ლამაზ-ლამაზ კაბებს და შემდგომ „პოდიუმზე“ გამოჰყავს. ჩუმი, ეშმაკური ღიმილით ამბობს: ჩემს პატარა ძმას სჯერა, რომ ახალ წელს თოვლის ბაბუას მოაქვს საჩუქრები და ეს ზღაპარიც სწორედ მას მიუძღვნა.*

## „წერილის“ მოგზაურობა

იყო და არა იყო რა. იყო ერთი პატარა ბიჭი, იგი ძალიან ცელქი და მოუსვენარი იყო. ბიჭს ძალიან უყვარდა მამასთან ერთად ტყეში და მინდორში სიარული. ერთხელ მან მინდორში პატარა, ლამაზი მცენარე დაინახა, რომელსაც თეთრი გვირგვინი ჰქონდა, სულს თუ შეუბერავდი, მისი ყვავილები ჰაერში დაფარფატებდნენ. ბიჭს ძალიან მოეწონა მცენარე და მამას ჰკითხა: „ეს რა არისო?“ მამამ უთხრა: „ბაბუა-წვერააო“. ბიჭს სახელიც ძალიან მოეწონა, იფიქრა თოვლივით ქათქათა და ლამაზია, სახელიც ისეთი აქვს, რომ შეიძლება თოვლის ბაბუას წვერებია მინდვრად მიმობნეული, რომლებიც ზამთარში კვლავ თოვლის ბაბუასთან დაბრუნდებიანო. გადაწყვიტა თოვლის ბაბუასთვის „წერილი“ გაეგზავნა. ქაღალდად ბაბუაწვერას ფურცელი გამოიყენა, მაგრამ რადგან წერა არ იცოდა, მხოლოდ სურვილი გაანდო ბაბუაწვერას ფურცელს და სთხოვა თოვლის ბაბუასთვის გადაეცა. ბავშმა საახალწლო საჩუქრები შეუკვეთა თოვლის ბაბუას, მარტო თავისთვის კი არა, თავისი დაიკოსთვისაც, და არც თქვენ დავიწყებიხართ, ბავშვებო, სთხოვა „ყველა ბავშვს აუსრულე საახალწლო სურვილებიო“.

უცებ ძლიერმა ქარმა დაუბერა, ბიჭს ხელიდან გამოსტაცა „წერილი“ და მაღლა-მაღლა წაიღო. ბიჭმა დიდხანს ადევნა „წერილს“ თვალი და რომ ველარ დაინახა, მინდორში ცელქობა განაგრძო.

„წერილმა“ კი იფარფატა ჰაერში და ერთი ხის ტოტზე დაჯდა, ხედავს: მგელი კურდღლის ბაჭიას ეპარება. „წერილმა“ გააფრთხილა და ბაჭია სოროში შეძვრა. გახარებულმა ბაჭიამ „წერილი“ თხილითა და კაკლით დაასაჩუქრა. „წერილმა“ გზა განაგრძო, მიდის, მიფარფატებს, დაიღალა და ბუჩქში შეძვრა. ჩიტების ჭიკჭიკმა მალე დააძინა. რომ გაიღვიძა, ხედავს, იქვე მახლობლად, ხის ფუღუროში ფუტკრებს ბუდე გაუკეთებიათ. დათვს თაფლის ამოღება უნდოდა, მაგრამ ფუტკრებმა არ დაანებეს და დაკბინეს. „წერილმა“ სთხოვა ფუტკრებს „ნუ ეჩხუბებით, მასაც ჰყავს შვილები და თაფლი მათთვის უნდაო“. ფუტკრებმა დათვს ცოტა თაფლი უწილადეს. დათვმა კი „წერილს“ გაუყო თავისი თაფლი. „წერილმა“ გზა განაგრძო.

შუაგულ ტყეში ციყვს თათარა მოედუღებინა და დაღლილი „წერილი“ შიგ ჩავარდა, ციყვმა ამოიყვანა „წერილი“, დაასვენა თავის ფუღუროში, შემდეგ ჩურჩხელებით გამოისტუმრა.

დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ „წერილმა“ მიაღწია ყინულოვან უღრან ტყემდე და თოვლის ბაბუას ბიჭის სურვილი გადასცა.

ბიჭი კი ელოდა ახალ წელს, აინტერესებდა მიაღწია თუ არა „წერილმა“ თოვლის ბაბუამდე. ახალი წლის ღამეს ბიჭმა ადრე დაიძინა, იცოდა თოვლის ბაბუა მხოლოდ მძინარე ბავშვებთან მივიდოდა, დილით კი ბალიშის ქვეშ საჩუქრები დახვდა, არაფერი არ დავიწყებია თოვლის ბაბუას, ყველაფერი გამოუგზავნა პატარა ბიჭს. სუფრაზე კი თხილი, კაკალი, ჩურჩხელები და თაფლიც ბევრი ჰქონდა, რომლებიც არ უთხოვია. გაიხარა ბიჭმა, გაიხარა ყველა ბავშვმა იმ დღეს.



# ლიკა ჯანაშია

**14 წლის, თბილისის 56-ე საშუალო სკოლა.**

## ჩემი ოცნება

თითოეულ ადამიანს საკუთარი აზრი, საკუთარი ოცნება აქვს. ზოგი ახერხებს ამ აზრის გამოთქმას და ოცნების განხორციელებას, ზოგი კი სადღაც შორს, გულში ინახავს და უფრთხილდება.

მეც მაქვს ჩემი ოცნებები და ვცდილობ ავიხდინო. ხან გამომდის, ხან კი... ღრმად, გულში ვინახავ. ხშირად ხატების წინ თავდახრილი ვდგავარ და მთელი გულით, სუფთა სულით ვთხოვ ღმერთს დახმარებას.

მე თუ მკითხავთ, მარტო საკუთარ თავზე ფიქრი არ შეიძლება. რამდენჯერ მიოცნებია, რომ თითოეული მათხოვრისთვის დახმარების ხელი გამეწვდინა, რამდენჯერ მიოცნებია ჩემი სამშობლოს კეთილდღეობაზე, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად.

ჩემი სანუკვარი ოცნებაა ცხოვრება ისე გავატარო, რომ ჩემი ნაკვალევი დავტოვო თუნდაც ერთი ადამიანის გულში, რომელიც თბილად და მოწიწებით შეინახავს ჩემს ხსოვნას, სითბოს და კეთილი გულით წარმოთქვამს ჩემს სახელს.

# თამთა ჯანაშია

**12 წლის, თბილისის 56-ე საშუალო სკოლა.**



1. ბოროტების ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში. 2. ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში. 3. ბერძნული მითოლოგიის გმირი, რომლის სუსტი წერტილი იყო ქუსლი. 4. ქართული მითოლოგიის გმირი, რომელიც კავკასიონზე იყო მიჯაჭვული. 5. ძველი ციხე აღმოსავლეთ საქართველოში. 6. ქალაქი კახეთში. 7. ყურძნის კრეფა ანუ... 8. მართლმადიდებელთა სალოცავი ადგილი. 9. დიდი ქართველი პოეტი და მოაზროვნე. 10. დასავლეთ საქართველოს კუთხე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კითხვა — თქვენი

* * *



*ხშირად დამინახავს მაღლა ცაში, თვითმფრინავი რომ თეთრ კვამლს ტოვებს. რა არის ეს — ბოლი, ორთქლი თუ სხვა რამ? და საერთოდ, რატომ რჩება ასეთი კვალი?*

**საბა ქურხული**, 12 წლის

შემჩნეული გექნება, რომ ყინვიან ამინდში ადამიანს პირიდან ორთქლი გამოსდის, თვითმფრინავის ფრენისას თეთრი კვალის წარმოშობაც ყინვაში ადამიანის სუნთქვის პროცესს ჰგავს.

თვითმფრინავის ტურბინები წყლის ორთქლის სახით გამოყოფენ ამტოსფეროში წვის პროდუქტს, ხოლო ვინაიდან სიმაღლეზე ძალზე დაბალი ტემპერატურაა (დაახლოებით 50 გრადუსი ყინვა) თვითმფრინავის ეს „ამონასუნთქი“ ორთქლი სწრაფად იყინება და უმცირეს თოვლის ფიფქებად და კრისტალებად გადაიქცევა, ერთად თავმოყრილები კი ისინი წარმოქმნიან ღრუბელს, თეთრ გრძელ „კუდად“ რომ მიჰყვება ხოლმე თვითმფრინავს მაღლა ცაში.

* * *

*მე ვიცი, რომ მეფეც მონარქია და იმპერატორიც, მაგრამ არ ვიცი, რა განსხვავებაა მათ შორის?*

**სესილი რომაშვილი**, 13 წლის, კასპი

მეფე ერთი ცალკე აღებული ქვეყნის მმართველია, იმპერატორი კი მთელი უზარმაზარი იმპერიის, ანუ სახელმწიფოსი, რომლის შემადგენლობაში შედის სხვა ხალხებისა და სახელმწიფოების ტერიტორიები (ხშირად დაპყრობის შედეგად). იმპერატორები იყვნენ რომის იმპერიის მმართველები, ნაპოლეონ ბონაპარტე, პეტრე I და სხვ.

იმპერატორი

მეფე





* * *

*ჩემი მეგობარი მიმტკიცებს, რომ პირველი გეოგრაფიული ატლასი ქრისტეფორე კოლუმბმა შეადგინა. მაინტერესებს მართლა ასეა?*

**მათე აგულაშვილი**, თბილისი

„კარტოგრაფიის მეფედ“ წოდებული ფლამანდიელი ჰერარდ მერკატორი რუკების ხატვის დიდი ოსტატი იყო. მანვე შეადგინა რუკების პირველი დიდი კრებული, რომელსაც „ატლასი“ უწოდა.

# პასუხი — ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ერთი თქვენგანი

# მარიამ ასათიანი



ერთხანს მარიამი ოცნებობდა თავისი ცნობილი მოგვარის, მაკა ასათიანის სადარი დიზაინერ-მოდელიერი გამხდარიყო და თუ მის მიერ თოჯინებისთვის შეკერილი კაბებით, მისი ნახელავი სამაჯურებით, აპლიკაციებით თუ ნაქარგებით ვიმსჯელებთ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მისი ოცნება ასრულდებოდა, მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება მის ასაკში, გოგონას სხვა ინტერესი და გატაცება გაუჩნდა – ჟურნალისტიკა. შეიძლება რაღაც დროის შემდეგ მარი სხვა საქმემ დააინტერესოს, მაგრამ დღესდღეობით მის მიერ ცნობილი ადამიანებისთვის ჩამორთმეული და საბავშვო პრესაში გამოქვეყნებული პატარ-პატარა ინტერვიუების წაკითხვის შე-



მდეგ ჩნდება აზრი, რომ მისგან ურიგო ჟურნალისტი არ უნდა დადგეს. ვნახოთ, დრო გვიჩვენებს, ჯერჯერობით კი ყველა საფუძველი არსებობს ვილაპარაკოთ მარიამ ასათიანის, როგორც შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ გოგონაზე.

ისევე როგორც მისი ძმა, გიორგი, მარიამიც ვოკალური სტუდია „მეკვლეს" სოლისტია და როგორც მომღერალს მრავალი ჯილდოც აქვს მიღებული, მათ შორის: თბილისის მერიის ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახურის ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილების დიპლომი (ბავშვთა და მოზარდთა საესტრადო სიმღერისა და თანამედროვე ცეკვის ფესტივალში მონაწილეობისთვის). დიპლომი კულტურის ცენტრ „იმედის" კონკურსში „საქართველო მრავალჟამიერ" მონაწილეობისთვის, დიპლომი I ადგილისთვის და ლაურეატის წოდება (ქუთაისის ოპერის თეატრში გამართული შოუ-ფესტივალი „საქართველო 2001"), ახალგაზრდა მომღერალთა მუსიკალური ასოციაცია „ჰარმონია+"-ის დიპლომი (საბავშვო საყმაწვილო ფესტივალი „მომავალი"), რკინიგზელთა კულტურის ცენტრის კავშირის დიპლომი და სხვა. მარიამი გიორგისთან ერთადაც მღერის და და-ძმა ასათიანების დუეტმა ბევრ პრესტიჟულ კონკურსზე, ფესტივალზე თუ სხვა დათვალიერებაზე მიიპყრო პროფესიონალი სპეციალისტებისა თუ უბრალოდ მსმენელის ყურადღება. ასათიანების ოჯახში სათუთად შენახულ ჯილდოებს შორის მარიამის და გიორგის მიერ „საუკეთესო დუეტის" ნომინაციაში მოპოვებული დიპლომ-სიგელებიც მრავლად არის. ბოლო დროს კი ამ უკვე საკმაოდ მოზრდილ კოლექციას შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი – თასიც შეემატა.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მიერ გამართულ ბავშვთა და მოზარდთა მხატვრული თვითშემოქმედების I რესპუბლიკურ ფესტივალზე „ჩემო თბილის ქალაქო" მარიამს, ინტელექტუალური შემოქმედის ნომინაციაში საუკეთესოს წოდება მიენიჭა, კულტურის სამინისტროს, სახელმწიფო ფილარმონიის კულტურისა და საესტრადო ხელოვნების ახალგაზრდა შემსრულებელთა რესპუბლიკურ ფესტივალში „ბრავო 2003"-ზე მარიამმა ლაურეატის წოდება და ოქროს მედალი ინდივიდუალურ შემსრულებელთა შორის დაიმსახურა.

ბავშვთა დაცვის ორგანიზაცია „აბუდაგის" მიერ ჩატარებულ კულტურისა და ცეკვის ფესტივალზე სიმღერის ორიგინალური შესრულებისათვის მას გადაეცა სპეციალური პრიზი „ვიოლინოს გასაღები". საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის I არხის, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა საერთო ეროვნული კავშირის და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ფოლკლორის მუსიკალური საყმაწვილო – ახალგაზრდულ სატელევიზიო ფესტივალში „ახალ საუკუნეს – ახალი ვარსკვლავები" – გამარჯვებისათვის მარი დაჯილდოვდა დიპლომით და მედლით;



შემოქმედებითი კავშირის „ქართული დარბაზის" პატრონაჟით ბორჯომში ჩატარებულ ბავშვთა ხელოვნების ფესტივალში სიმღერის საუკეთესო შესრულებისთვის მიენიჭა ლაურეატის წოდება; თბილისის კულტურის ცენტრმა „იმედი" მხატვრულ თვითშემოქმედებაში აქტიური მონაწილეობის და მიღწეული წარმატებისთვის მარი დააჯილდოვა დიპლომით; სულ ახლახან, 2005 წლის 19 მარტს გამართულ მხატვრული თვითშემოქმედების II რესპუბლიკურ ფესტივალზე „წითელი ვარდი", რომელიც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედების კავშირმა „მუზათა ტაძარი" ჩაატარა, გალაკონცერტში მარიმ I ადგილი აიღო და ფასიანი საჩუქრები დაიმსახურა.

მარიამს ძალიან უყვარს კომპოზიტორი კახა ცაბაძე და ის მისი სიმღერების თაყვანისმცემელია. ნიჭიერ გოგონას სურს მონაწილეობა მიიღოს გოგი ცაბაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ფესტივალში, რომელსაც „ქართული ნიღბების" დარბაზი აწყობს და ამთავითვე მონდომებით ემზადება ამ გამოსვლისათვის.



# როგორ იღებდნენ ფილმს ადამიან-ობობაზე



გახსოვთ, როგორი მოუხერხებელი, ხელთუპყარი იყო სტუდენტი პიტერ პარკერი მანამ, ვიდრე მას მუტანტი ობობა უკბენდა? ამის შემდეგ ის „მაგარი" ბიჭი გახდა და მას ობობას სხვადასხვა უნარ-თვისებები გაუჩნდა. ფილმში „ადამიანი-ობობა" ეს თვისებები სამყაროს გადარჩენაში ეხმარება პიტერს. გაინტერესებთ, მაინც როგორ რვაფეხა მონადირეს ბაძავს ადამიანი-ობობა? გთავაზობთ რამდენიმე სახის ობობას დახასიათებას.

ჰაერში მძარცველებს როცა მისდევს, ადამიანი-ობობა მტკიცე, მაგარი აბრეშუმის ძაფის დახმარებით ერთი შენობიდან მეორეზე ხტება.

## ობობა-შტანგისტი



ადამიანი-ობობა საზიზღარ დოკ ოკს ებრძვის და ამ დროს კედელი ნგრევას იწყებს, ადამიანი-ობობა ცდილობს შეაკავოს კედელი. ობობებს საოცარი უნარი გააჩნიათ – მათ შეუძლიათ მათზე ბევრად უფრო დიდი საგნები ასწიონ და გადააადგილონ. „შტანგისტთა" შორის უძლიერესები კი ყველაზე დიდი ობობები – ტარანტულები არიან.

## შეტევა ნახტომში



ადამიანი-ობობა შეუმჩნევლად უნდა მიეპაროს დოკ ოკს. იგი ნელა, მოთმინებით მიიწევს წინ. გაივლის ცოტას და ჩერდება, გაივლის და ჩერდება. მერე კი ნახტომი და მორჩა! მიუხედავად იმისა, რომ ხტუნია ობობას მოკლე თათები აქვს, ნახტომში ის მის სხეულზე 10-ჯერ გრძელ მანძილს ფარავს. ნელი მდევარი (ასე ითარგმნება ლათინურიდან ამ ობობას სახლი) კატასავით ნადირობს.

## მახვილი თვალი



ადამიანმა-ობობამ გიგანტური ცათამბჯენის სახურავიდან მოჰკრა თვალი მართვადაკარგულ სატვირთო მანქანას, რომელიც სადაც არის ორ ბავშვს დაეჯახება. გმირი პატარების გადასარჩენად ისწრაფის. ბევრ ობობას – ისეთებს, რომლებიც ქსელში კი არ უდარაჯებენ მსხვერპლს, არამედ ღიად ესხმიან მას თავს, – შესანიშნავი მხედველობა აქვს. ობობა-მდევარი რვიდან ორი თავისი თვალით მოცულობით გამოსახულებას ხედავს, ზუსტად ისე, როგორც ადამიანი.

## მგრძნობიარე



პიტერ პარკერი თავის თანაკლასელ მერი ჯეინს ელაპარაკება და არ ესმის, რა ხდება ქუჩაში, თუმცა მაინც გრძნობს, რომ სადაც არის, მანქანა ფანჯარაში შემოვარდება, და ის ქალიშვილს გადაარჩენს. თათებზე არსებული მგრძნობიარე ბუსუსების წყალობით ობობებიც ზუსტად ასე გრძნობენ მიწის, ჰაერის და ობობას ქსელის საფრთხის მაუწყებელ უმცირეს რხევას. ექვსწერტილა პიზაურიდი ანუ მეთევზე ობობა კი წყლის ზედაპირის რხევასაც აფიქსირებს.

## ოქროსფერი ობობა



თითქმის ყველა ობობა ძაფის მეშვეობით მოგზაურობს ჰაერში, მაგრამ ყველაზე მაგარი ძაფი ოქროსფერ წრემქსოველ ობობას აქვს. ეს ძაფი იმ ბოჭკოზე მტკიცეც არის, რომლისგანაც ჯავშანჟილეტებს ამზადებენ. ახალგაზრდა ოქროსფერი ობობები ძაფს ქარს მიანდობენ, როგორც ფრანი ისე დაფრინავენ ჰაერში და ზოგჯერ ასობით კილომეტრსაც გადიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „მაგარი“ გამოგონებები

## ავარიაში მანეკენი ხვდება




ადამიანის მსგავსი ამ მანეკენის წყალობით ინჟინრები და მეცნიერები არკვევენ, თუ რა ხდება ავტომანქანაში შეჯახების დროს და თუ როგორ შეიძლება მგზავრებისთვის უსაფრთხო გახადონ ის.

**მანეკენების ოჯახი.** მანეკენები უსაფრთხო ავტომობილის შესაქმნელად არის საჭირო. პირველი მანეკენები მე-20 საუკუნის 40-იან წლებში გამოჩნდნენ და ისინი უბრალოდ დიდ თოჯინებს წარმოადგენდნენ. დღეს კი ყოველი მათგანი ურთულესი მოწყობილობაა. ზოგი 100 000 დოლარამდეც კი ღირს. მანეკენი „ჰიბრიდი-III“ მთელი ოჯახით არის წარმოდგენილი (მარჯვენა სურათი) 3 წლის ბიჭუნათი დაწყებული, 1,85 სიმაღლის მამაკაცით დამთავრებული. ახლახან „ოჯახს“ ახალი წევრი – 1,35 მეტრის სიმაღლის და 38 კგ წონის ბიჭი შეემატა.

**სუპერგადამწოდები.** ერთი გამოსაცდელი შეჯახება – მას კრაშ-ტესტს ეძახიან – ხანგრძლივ მომზადებას მოითხოვს. მანეკენები უამრავი მაღალი სიზუსტის გადამწოდით არიან აღჭურვილები. მაგალითად, მანეკენის თავში განლაგებული აქსელერომეტრი უჩვენებს, თუ რა სიჩქარით მოძრაობს თავი ავარიისას, წნევის გადამწოდები კი ავლენს, რა ემართება ამ დროს კისერს და ხელ-ფეხს.

**კანი და ძვლები.** მანეკენს ვინილის კანი და ლითონის ძვლები აქვს, ხოლო მისი ზომა-წონა და ტანის მოყვანილობა ზუსტად ისეთია, როგორიც ადამიანის. ის კი არა, ახალი, „10 წლის“ მანეკენი ზუსტად ისე მხრებმოხრილი ზის მანქანაში, როგორც ეს მის ცოცხალ „თანატოლებს“ სჩვევიათ. ჰიბრიდი-III ძირითადად პირდაპირი შეჯახების ტესტებისთვის არის განკუთვნილი, საერთოდ კი გვერდითი დარტყმების მანეკენებიც არსებობს და უკნიდან დარტყმებისაც.

**გამოცდა.** მანეკენს მანქანაში სწორად სვამენ და ყველა აპარატურას ამოწმებენ. მანეკენებში ჩამონტაჟებული კამერები და გადამწოდები საშუალებას იძლევა შეიქმნას საიმედო უსაფრთხოების ქამრები, თავის მისაყრდნობები და მანქანის სხვა დეტალები. თავად შეჯახება კი – როგორც გამოსაცდელი, ისე ნამდვილი – სულ 0,1 წამს გრძელდება.

### საგზაო ტესტი




1) გაქანება 60 კმ/სთ-მდე;
2) შეჯახება;
3) მანეკენს წინ შემოწმება ელის.

23692



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სადუნის" დღევანდელი და ხვალინდელი დღე



შეიძლება ითქვას, რომ საერო საშუალო სკოლა – კომპლექსში „სადუნი" ბევრი რამ დღეს ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების წინსწრებით დაინერგა. რაც მთავარია, გადამწყვეტ ორიენტირად სწავლებაში აქ იმთავითვე დამოუკიდებელი აზროვნება დაისახეს და დღემდე განუხრელად მიჰყვებიან მას. ამ იდეის ავტორიც და მთავარი სულისჩამდგმელიც სკოლის დირექტორი მარინა ცინცაძე გახლავთ, რომელიც საკუთარი მდიდარი პედაგოგიური გამოცდილებიდან გამომდინარე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უმთავრესი საგანი ნებისმიერ სასწავლო დაწესებულებაში სწორედ დამოუკიდებელი აზროვნება უნდა იყოს და თუმცა ჩანაფიქრის ხორცშესხმამდე უამრავი სიძნელის გადალახვა, შრომა და მოთმინების მოხმობა დასჭირდა, მაინც მიაღწია მიზანს – დიდუბეში, წერეთლის გამზირზე, ყოფილი 199-ე ბაღის ბაზაზე აღმოცენდა ახალი ბაღი „სადუნი", რომელშიც პატარებთან ქალაქში არსებული სხვა მსგავსი დაწესებულებებისგან განსხვავებული პროგრამითა და სტილით მუშაობდნენ. არსებობის პირველივე წლის შედეგები იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ქალბატონმა მარინამ მანამდე გაუმხელელი და ფიქრებში ნასათუთევი კიდევ ერთი იდეის



ხორცშესხმას მოჰკიდა ხელი – თანამოაზრე პედაგოგებთან ერთად დაიწყო მოსამზადებელი სამუშაო „სადუნის" ბაღ-სკოლად გადრასაქმნელად და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერთიანი სასწავლო აღმზრდელობითი კომპლექსი, სადაც მუშაობა ადრეულ ასაკშივე შემეცნებითი, ფიზიკური, სოციალური და სულიერი აღზრდა-განათლების პრინციპზე იგება და მერეც მათზევე დაყრდნობით გრძელდება. დღეს „სადუნი" მთელ ქალაქში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სასწავლებლად ითვლება, მასში სწავლისა და სწავლების მსურველებიც დღითიდღე იზრდება. და უნდა ითქვას, რომ პირველებს ანუ მოსწავლეებს უფრო უმართლებს, მათ უარით იშვიათად ისტუმრებენ, მეორეები ანუ მასწავლებლები კი ხშირად ვერ უძლებენ გამოცდას, ვერ აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, „სადუნში" რომ უყენებენ პედაგოგებს და თავადვე ამბობენ უარს აქ მუშაობაზე.



განვითარების ახალ გზაზე საქართველოს მრავალმხრივ განათლებული, კრიტიკული აზროვნების, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარით აღჭურვილი ადამიანები სჭირდება და „სადუნმაც" ეს აირჩია ორიენტირად. აქ მოსულ ბავშვებს პირველ რიგში დამოუკიდებლად აზროვნებას, რთული გადაწყვეტილებების მიღებას აჩვევენ, ასწავლიან უცხო ენებს, მათემატიკას, ესთეტიკას, ურთიერთობას, აძლევენ ფართო ზოგად განათლებას. სწავლება აქ ქართულ ეროვნულთან შეჯერებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების თანამედროვე პროგრამებით, მეთოდებით, ხერხებითა და საშუალებებით მიმდინარეობს. ყოველი უცხოური პროგრამა, მათ შორის საყოველთაოდ ცნობილი ი. ივიჩისეულ „ნაბიჯ-ნაბიჯ" აქ საქართველოს ეროვნული და სახელმწიფო იტერესებზეა მორგებული. პროექტები, რომლებსაც „სადუნში" ამზადებენ და ახორციელებენ, საშუალებას აძლევს ბავშვებსაც და მასწავლებლებსაც გამოსცადონ საკუთარი შესაძლებლობები. სადღეისოდ კომპლექსის საბავშვო ბაღში 215 ბავშვი სწავლობს, სკოლაში კი 434 მოსწავლეა, კლასები ისეა დაკომპლექტებული, რომ თითოეულ მათგანში მოსწავლეების რაოდენობა ოცს იშვიათად ამეტებს. პროგრამული სწავლება ბაღის ბოლო საფეხურიდან, ხუთი წლის ასაკიდან იწყება და სკოლაში გრძელდება. ერთიან სინთეზურ პროცესს დაქვემდებარებული გაკვეთილები დილის 10 საათზე იწყება. ბაღის აღსაზრდელებიც და სკოლის მოსწავლეებიც საღამოს ექვს საათამდე რჩებიან „სადუნში". დამკვიდრებული განრიგის შესაბამისად 10 საათიდან 2-მდე მიმდინარეობს დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების განვითარებისკენ მიმართული სწავლების პროცესი. მერე სადილია, ბავშვები გემრიელი კერძებით ნაყრდებიან, ნასადილევს კი პედაგოგ-კოორდინატორთა ხელში გადადიან. ეს უკანასკნელები თავ-თავისი პროექტების შესაბამისად მუშაობენ ბავშვებთან, ეს მუშაობა კი ძირითადად გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება-დახვეწას გულისხმობს. ამ მეცადინეობებზე აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სახის ლიტერატურა, აუდიო და ვიდეომასალები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები და ფილმები. პროექტები გასვლით ღონისძიებებს – ექსკურსიებს, თეატრების, მუზეუმების, საგამოფენო გალერეების მონახულებასაც გულისხმობს.

აქ დამკვიდრებული წესის შესაბამისად ბავშვებს ნიშნებს არ უწერენ, მათი ცოდნისა და მომზადების დონე ქულებით ფასდება, ხოლო თითოეული ბავშვის ყველა მონაცემი მისი თვითშეფასების ჩათვლით, წლის განმავლობაში თავს იყრის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ამ მონაცემების წყალობით მშობლებს შეუძლიათ რეგულარულად ადევნონ თვალი საკუთარი შვილის წარმატება-წარუმატებლობას. აქ ძირითადად ახალგაზრდა მასწავლებლები არიან, რომლებსაც „სადუნის" არსებობის მანძილზე მუშაობის საკმაო გამოცდილება დაუგროვდათ. ისინი ხელმძღვანელობენ ძველი შეგონებით – რომ ასწავლო, უნდა იცოდე, რომ იცოდე, უნდა ისწავლო და იმისათვის, რათა უფლება ჰქონდეთ იყვნენ მასწავლებლები ანუ ასწავლონ, თვითონაც გამუდმებით სწავლობენ. მათთან მუდმივად მიმდინარეობს სისტემური მუშაობა, ტრენინგები, კონსულტაციები. ყველა მათგანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგულარულად მონაწილეობს პედაგოგიური კვლევის საათში, რომელიც ერთგვარი ანგარიშის ჩაბარებაა, რომლის დროსაც ხდება გარკვეულ პერიოდში გაწეული მუშაობის ყოველმხრივი ანალიზირება, გამოცდილების გაზიარება.

თითქმის ყველა ამ პროცესს „სადუნში" იმაზე ადრე დაედო სათავე, ვიდრე საქართველოს სკოლებში ძირეული რეფორმების ფართომასშტაბიანი გატარება დაიწყებოდა, სწორედ ამიტომ მიიღეს აქ უპრობლემოდ რეფორმით შეთავაზებული სიახლეები. საერთოდ ბოლო დროს სკოლა-კომპლექსი „სადუნი", ისევე როგორც სხვა კერძო სკოლები, სულ უფრო ხშირად გრძნობს გაზრდილ ყურადღებას და ზრუნვას სამინისტროს მხრიდან, რაც გარდა მადლიერების გრძნობისა, პასუხისმგებლობასა და სტიმულს მატებს სკოლის მთელ კოლექტივს.

„სადუნში" დიდი ყურადღება ეთმობა ბავშვების ესთეტიკურ აღზრდას, მაყურებლის თუ მსმენელის ჩვევების გამომუშავებას. თუმცა ბაღში საკუთარი თოჯინების პატარა თეატრი აქვთ და პატარები თოჯინებით მუშაობასაც სწავლობენ, გოგო-ბიჭები ხშირად დაჰყავთ სახელმწიფო თოჯინების თეატრში, რათა მათ თეატრში მოქცევა ამთავითვე ისწავლონ, ეზიარონ სპექტაკლის ყურების კულტურას. სკოლაში მოქმედებს ვაჟთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „სადუნი", გოგონების კაპელა, ღვაწლმოსილი ხელოვანი ვენერა მჭედლიშვილი კი ჩონგურზე დაკვრას და ხალხურ სიმღერებს ასწავლის პატარებს. ახლახან „სადუნის" ნორჩი შემოქმედები თურქეთში იმყოფებოდნენ, სადაც დემირელის სახელობის ბავშვთა ფესტივალში მიიღეს მონაწილეობა. სკოლაში ხშირად ტარდება სხვადასხვა სახის შემეცნებით-კულტუ-



რული ღონისძიებები. ძალზე საინტერესოდ ჩატარდა ამას წინათ ქართველი და ებრაელი ხალხების 2600 წლიანი ძმობა-მეგობრობისადმი მიძღვნილი საღამო „უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუშალამ"... ნორჩმა სადუნელებმა დიდი ოსტატობით შეასრულეს ქართული და ებრაული სიმღერები და ცეკვები, წაიკითხეს ებრაული პოეზიის ნიმუშები.

„სადუნი" მუდამ წინ იყურება და ამიტომაც აქ არასდროს კმაყოფილდებიან მიღწეულით და სულ ახალ-ახალ პროექტებს ახორციელებენ. სულ მალე სკოლაში ექნებათ ქართული ლიტერატურისა და ლინგაფანის კაბინეტები, გაუმჯობესდება ინგლისური და რუსული ენების კაბინეტების აღჭურვილობა, გაფართოვდება კომპიუტერული კლასი, მომდევნო ეტაპზე ხორცი შეესხმება სპორტული კომპლექსის, აუზის მოწყობის და კიდევ არა ერთ ჩანაფიქრს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს გახდის სკოლის ცხოვრებას და საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ყმაწვილების თანამედროვეობის მოთხოვნილებათა შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით შეიარაღებას, ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად მომზადებას.

# შენზე ფიქრით რომ ათენებს

## ვეზიარით ერთმანეთის სულის სინათლეს



მზია ხარაიძემ 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა სამტრედიის პირველი საშუალო სკოლა, სადაც მას ასწავლიდნენ შესანიშნავი პედაგოგები: დავით გახოკიძე, თამარ გოთოშია, ეშხა გულდედავა, ქეთო სარია და სხვები. სწორედ მათ განსაზღვრეს მისი მომავალი პროფესია. დღევანდელი სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი დაწყებითი კლასების მასწავლებელი გახდა. მ. ხარაიძე 1975 წლიდან მუშაობს დიდებული ტრადიციების მქონე გ. ტაბიძის სახელობის 51-ე საშუალო სკოლაში, სადაც მოღვაწეობდნენ ისეთი სახიქადულო პედაგოგები, როგორებიც იყვნენ: ელენე მაჭავარიანი, გიორგი ნინოშვილი, თამარ ხელაშვილი, ვარო ვარდიაშვილი, ეკატერინე ბურჯანაძე, გიორგი მოსეშვილი, ვასო აბდუშელიშვილი და სხვები. და აი, ახალგაზრდა პედაგოგს პატივი ერგო გამხდარიყო მათი საქმის გამგრძელებელი, რაც უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებდა. ამ პასუხისმგებლობით მუშაობს იგი 30 წელია და ღირსეულ მოქალაქეებს უზრდის ქვეყანას. და „უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის" წოდება აქვს.

მ. ხარაიძე: არასდროს მავიწყდება ერთი ცნობილი ადამიანის სიტყვები: „ბავშვს შეუძლია შეიყვაროს ის, ვისაც ის უყვარს და იგი შეიძლება აღვზარდოთ მხოლოდ სიყვარულით". ყოველთვის სიყვარულით შევდივარ კლასში ჩემს პატარებთან. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა ჩვენი ქვეყნის მომავალი მოქალაქეებისადმი არის ის ძირითადი თვისება, რაც უნდა ჰქონდეს დაწყებითი კლასის მასწავლებელს. ჩვენ საქმე გვაქვს მეტად სათუთ არსებასთან, ბავშვთან, ქვეყნის მომავალთან და ამიტომაც შეცდომების დაშვების უფლება არა გვაქვს.

დღეს, როგორც არასდროს, ერთად უნდა იყვნენ მოსწავლე და მასწავლებელი. ერთმანეთის სულის სინათლეს უნდა ვეზიაროთ, თორემ სხვანაირად მზიურ მომავალს ვერ ვაზიარებთ ჩვენს სამშობლოს. მდიდარი პედაგოგიური გამოცდილება უფლებას მაძლევს ვთქვა, რომ ალღო არასოდეს მღალატობს. კოლეგებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობაში ყოველთვის განსაკუთრებული მეგობრობა მაკავშირებს მათთან. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ცრემლნარევი სიხარულით იწყება ჩემთვის ახალი სასწავლო წელი. მიჭირს ჩემს მოსწავლეებთან განშორება, მე ხომ ოთხი წლის მანძილზე ვურთიერთობ მათთან, ვახარჯავ, არ ვიშურებ ჩემს ენერგიას, ცოდნას, სულიერ ძალებს, ყველას თანაბრად ვუნაწილებ გულის სითბოსა და სიყვარულს. როცა მე მათ მომდევნო საფეხურებამდე მივაცილებ და ვემშვიდობები, მაინც მათ გვერდით ვრჩები და ვაკვირდები, რამდენად საფუძვლიანი ცოდნა მიიღეს მათ დაწყებით კლასებში... როგორ იხარა ჩემ მიერ თითოეულში ჩანერგილმა სიკეთემ და სიყვარულმა...

ყოფილი მოსწავლეები არასდროს ივიწყებენ მას, იგი მათთვის ყოველთვის საყვარელ მზია მასწავლებლად რჩება, აგერ უკვე თხუთმეტი წელია ყოველ გაზაფხულზე იღება მისი საკლასო ოთახის კარი და ყვითელი ტიტების თაიგულით ყოფილი მოსწავლე გიორგი ობგაიძე გაზაფხულს ულოცავს. ამაზე მეტი საჩუქარი ჭეშმარიტ მასწავლებელს არ სჭირდება.

მზია ხარაიძის ფიქრები დღესაც მიმართულია იქითკენ, თუ როგორი იქნება ამ თვალხატულა გოგო-ბიჭების ხვალინდელი დღე, გამოადგებიან თუ არა ისინი ქვეყანას, რა წვლილს შეიტანენ მამა-პაპათა ნამოღვაწარში, გამართავს თუ არა მათ ცხოვრებას დღევანდელი ეროვნული განათლების პროგრამა, რომლის ირგვლივაც ამდენი დავა და კამათია. გამოცდილი პედაგოგი იმედიანად შეჰყურებს მომავალს და დარწმუნებულია, რომ ეროვნული განათლების რეფორმა განაპირობებს სწავლების მაღალ ხარისხს, დაამკვიდრებს შეფასებაში ობიექტურობას.

## სახელმძღვანელო +

# ყველაზე საოცარი და ვერაგი კუნძული

გეოგრაფია

აგრეთვე ამბავი კატორღელი რობინზონების, ასობით დაღუპული გემის, კაპიტან ჰიგინსის, თევზის ქონისა და ექვსი ჩანთქმული შუქურისა

სეიბლი უთუოდ ყველაზე საოცარი და ყველაზე ვერაგი კუნძულია დედამიწის ზურგზე. მისი ვერაგობა იმით იწყება, რომ სხვადასხვა ქვეყნების გეოგრაფები საუკუნეა კამათობენ, ვინ აღმოაჩინა ზღვაოსანთა მრავალი თაობის მიერ დაწყევლილი ეს კუნძული. ერთნი მიიჩნევენ, რომ სეიბლს პირველები ვიკინგები გადააწყდნენ, ჯერ კიდევ კოლუმბამდე რომ მიცურავდნენ ჩრდილო ამერიკისკენ. სხვების აზრით, პირველაღმომჩენები ნორმანდიელი და ბრეტონელი მეთევზეები არიან, რომლებმაც XVI საუკუნეში ნიუ-ფაუნდლენდის მეჩეჩებთან დაიწყეს რეწვა. შეიძლება კუნძული სულაც ინგლისელმა ვეშაპებზე მონადირეებმა აღმოაჩინეს, რომლებიც ახალი შოტლანდიის ნაპირებთან ნადირობდნენ. არანაკლებ სარწმუნოა კიდევ ერთი ვერსია, რომლის თანახმად, სეიბლი ფრანგმა ზღვაოსანმა ლერიმ აღმოაჩინა, რომელიც 1508 წელს ევროპიდან ნახევარკუნძულ „ბრეტონთა მიწაზე“ (ახალი შოტლანდია) ჩავიდა.

სეიბლის ვერაგობა იმაშიც გამოიხატება, რომ ყველა რუკაზე, ჩვენ საუკუნეში შედგენილზეც კი, მისი კოორდინატები, ფორმა და ფართობი სულ სხვადასხვაა. კუნძული დახეტიალობს, ყოველწლიურად იცვლის მოხაზულობას და ფართობს. XVI საუკუნის ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ რუკებზე კუნძულის სიგრძე 150-200 მილია, 1633წელს კი ჰოლანდიელი ზღვაოსანი იოჰან ლაეტი იუწყებოდა: „კუნძულის შემოწერილობა დაახლოებით ორმოცი მილია, ზღვა აქ ბობოქარი და წყალმარჩხია, ნავსადგურები არ არის. აქ გამუდმებით იღუპება ხომალდები და ეს ადგილი ცუდი სახელით სარგებლობს“.

ლამის ხუთასი წელია სეიბლი შიშის ზარს ჰგვრის ზღვაოსნებს. ისტორიაში იგი „ხომალდების შთანმთქმელის“ სახელით შევიდა. მეზღვაურები მას „ათასი დაღუპული ხომალდის კუნძულს“, „სიკვდილის კუნძულს“ ეძახიან.

დღე მისი სიგრძე 23 მილია, სიგანე კი – ერთი. იგი მდებარეობს მატერიკის სიახლოვეს იმ რაიონში, სადაც გოლფსტრიმი ლაბრადორის ცივ დინებას ეჯახება. სწორედ ამ ვითარებამ გამოიწვია უზარმაზარი ქვიშის მეჩეჩის შექმნა, რომლის ნაწილი ოკეანის ზედაპირზეა ამოშვერილი. ოკეანის დინებები და შტორმები დიდი ხანია რეცხავენ მის დასავლეთ ისარას, რომელიც თანდათან იმალება წყალში. იმავდროულად ქარებისა და ტალღების მოქმედების შედეგად ქვიშა აღმოსავლეთ ისარაზე ხვავდება. ისე რომ, სეიბლი განუწყვეტლივ მიღოღავს აღმოსავლეთისაკენ და თანდათან შორდება ახალი შოტლანდიის ნაპირებს. ბოლო ორასი წლის განმავლობაში მან ოკეანეში თითქმის ათი საზღვაო მილი „გაიარა“.

ჟურნალში დაბეჭდილი რუკა ამერიკელმა დავით ჯონსონმა შეადგინა, რომელიც 1920-1937 წლებში კუნძულზე შუქურის ზედამხედველი იყო. შემორჩენილი დოკუმენტების საფუძველზე ჯონსონმა რუკაზე აღნიშნა ხომალდების დაღუპვის ადგილები. ყველა ეს ხომალდი სეიბლის სიახლოვეს დაიღუპა და გამოდის, რომ 1800 წლიდან მოყოლებული აქ ასობით ხომალდი დაღუპულა. ნუ დაგვავიწყდება, რომ რუკაზე მხოლოდ ბოლო 137 წლის მანძილზე დაღუპული ხომალდებია აღნიშნული, სეიბლის სიახლოვეს კი XVI საუკუნის დამდეგიდან დაცურავდნენ გემები. არავინ იცის, რამდენი უცნობი ხომალდი, ვიკინგთა რამდენი ნავი, პორტუგალიელთა რამდენი გალეონი, ბრეტონელ მეთევზეთა რამდენი გულეტი, ვეშაპმონადირეთა რამდენი გემი, რამდენი კანადური ბარკენტინი, ამერიკული კლიპერი ძევს მის მეჩეჩებზე...

სეიბლი დღესაც ჩრდილო ატლანტიკის ხაფანგად რჩება, რადგანაც გაცხოველებული ნაოსნობის რაიონში მდებარეობს: ცივი ლაბრადორის დინებისა და გოლფსტრიმის შეხვედრა წარმოადგენს ხშირი და ხანგრძლივი ნისლების მიზეზს. ბობოქარი შტორმები აქ ჩვეულებრივი მოვლენაა. სექტემბერ-ოქტომბერში აქ თითქმის გამუდმებით ქრის შვიდი ბალის სიძლიერის ქარები. ნორდ-ვესტის საშუალო ძალა ნოემბერ-მარტში ხუთი-ექვსი ბალია ხოლმე. ზამთრის შტორმებს, როგორც წესი, თან ახლავს წვიმები და თოვლი, რაკიღა კუნძულს არაფერი ეფარება, არაფერი იცავს, ოკეანის ქარები აქ ლაღად დაქრიან, ხოლო ნაპირებთან მთელი წლის განმავლობაში მოქცევის თეთრი ქაფი დუღს. კუნძულს იმ სამი კვირის მანძი-

გეოგრაფია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლზე თუ მიადგება ვინმე კარჭაპით, როცა ქარი არ ქრის, ჩვეულებრივ, შტორმს თვალისმომჭრელი მზის ამოსვლა უძღვის ხოლმე წინ, რაც თითქოს მშვენიერ დარზე უნდა მეტყველებდეს. მაგრამ, სრულიად მოულოდნელად საიდანღაც წამოიშლება ლეგა ღრუბლები, გადაეფარება მზეს და ცასაც მოქუფრავს. მერე ქარიც მოვარდება, ოკეანეს ააქაფებს, აადღლვებს, დიუნების მწვერვალებიდან ტონობით ქვიშას აიტაცებს და საშინელ ბუღს დააყენებს. წყეული „გემების შთანმთქმელი“ ერთნაირად ულმობლად ყლაპავს დიდ თანამედროვე გემებსაც და იალქნიან ნავებსაც. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: სეიბლი ერთ თვეში მთლიანად ნთქავს თავის მსხვერპლს, ამასთან ეს მსხვერპლი ხშირად 70-100 მ. სიგრძისა და 2-3 ტონა წყალრწყვისაა ხოლმე. ასე გაუჩინარდა ქვიშაში ოთხანძიანი ამერიკული ორჩხომელი „კროფთონ ჰოლი“, რომელიც 1898 წელს ჩაიფლო სეიბლის ქვიშაში. იმხანად შუქურის ზედამხედველ ბუტიელისთან და მაშველ სმოლკომბთან ერთად კუნძულზე ინგლისელი მეცნიერი, ტელეფონის გამომგონებელი ალექსანდრე გრეჰემ ბელიც ცხოვრობდა. ეს ადამიანი ფრანგული ლაინერის „ბურგონის“ დრამამ შეძრა. იმავე 1898 წლის 4 ივლისს სეიბლის სამხრეთით, 80 მილის მოშორებით ნისლში ინგლისის იალქნიანი გემი „კრომანტიშირი“ შეეჯახა სამგზავრო გემ „ბურგონს“, რომელიც ათ წუთში ჩაიძირა და 597 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ბელმა იფიქრა, რომ შეიძლებოდა „ბურგონზე“ მყოფთაგან ვინმე გადარჩენილიყო, სეიბლამდე მიეღწია და ახლა დახმარებას ელოდა. მან თავისი ხარჯით მოაწყო საძიებო ექსპედიცია, მაგრამ კუნძულზე ვერავინ აღმოაჩინა. მეცნიერი რამდენიმე კვირით დარჩა იქ. აი, რას წერდა იგი ამერიკული ხომალდის დაღუპვის შესახებ: „იგი ამა წლის აპრილში დაჯდა მეჩეჩზე. საუცხოო გემი უვნებელი გეგონებათ, თუ არ ჩავთვლით მის შუაზე გაბზარულ კორპუსს. დღეს ქვიშამ მთლიანად ჩანთქა მსხვერპლი“. ასე დაემართა ყველა დიდ-პატარა გემს, რომელიც კი სეიბლის „მკლავებში“ აღმოჩნდა.

დრო და დრო ქარები ფორმას უცვლიდნენ დიუნებს და მაშინ ადამიანს თვალწინ ქვიშაში ჩამარხული გემების ნაშთები წარმოუდგება. ასეთ დროს აქ ადამიანთა ძვლებს, თავის ქალებს, ძველებურ იარაღსა და მონეტებსაც პოულობენ.

1963 წელს შუქურის ზედამხედველმა ქვიშაში ადამიანის ჩონჩხი, ჩექმის ბალთა, მუშკეტის ნარჩენი, რამდენიმე ტყვია და 1760 წელს მოჭრილი ოქროს მონეტა იპოვა. ამბობენ, რომ რეგისტრირებულია გემების დაღუპვის 60 შემთხვევა, ადამიანთა მსხვერპლი კი 10 000-ს აღწევს (ეს მხოლოდ რეგისტრირებული შემთხვევებია).

სეიბლის ერთ-ერთი ბოლო მსხვერპლი პანამური სატვირთო გემი „მანჰასეტი“ იყო. 1947 წლის 4 ივლისს ნისლში გემი კუნძულის სამხრეთ მეჩეჩს დაეჯახა.

ხომ ასე საშინელია ოკეანის სივრცეში დაკარგული ხმელეთის ეს პირქუში ნაგლეჯი, მაგრამ იგი ყოველთვის დასახლებული იყო ხოლმე. თუმცა ადამიანები საკუთარი ნება-სურვილით არ სახლდებოდნენ აქ.

კუნძულის პირველი ბინადრები დაღუპული გემების გადარჩენილი მგზავრები თუ მეზღვაურები იყვნენ. ისინი გემის ნარჩენებისგან აშენებულ ქოხებში აფარებდნენ თავს. თავისდა გასაკვირად, პირველმა რობინზონებმა კუნძულზე ძროხები აღმოაჩინეს. ცხოველები 1508 წელს ფრანგ ლერის დაუტოვებია აქ რატომღაც, ისინი გამრავლებულან და გაველურებულან. კუნძულის ბინადრები თევზით, ზღვის ფრინველებით და მწერებითაც იკვებებოდნენ. წყლის საქმე კი უარესად იყო. აქ წყაროები არ არის და წყალს ნაწვიმარზე გუბეებში თუ იღებდნენ ან ბალახიდან ცვარს აგროვებდნენ. სეიბლზე მოხვედრილთა ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ გემები სათოფეზე არ ეკარებოდნენ კუნძულს, მაშინაც კი, თუ მის თავზე სასიგნალო კოცონების კვამლს მოჰკრავდნენ თვალს.

ერთხელ კუნძულზე ერთდროულად 50 რობინზონი აღმოჩნდა. ეს ადამიანები კატორღელები იყვნენ და ისინი 1598 წელს გადმოსხეს აქ ფრანგული გემიდან მარკიზ დე ლა როშეს ბრძანებით, რომელსაც ახალ შოტლანდიაში გადაჰყავდა ისინი. ძლიერი და ხანგრძლივი ჩრდილო-აღმოსავლეთის შტორმის გამო გემს ნაპრალი გაუჩნდა და როშემ ევროპაში დაბრუნება გადაწყვიტა. კუნძულის დანახვაზე გადასხმა მოაფიქრდა. შეიძლება გემზე სურსათი გამოილია და ფრანგებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. ასე იყო თუ ისე, კატორღელები კუნძულზე აღმოჩნდნენ. ისინი შვიდი წლის შემდეგღა გაახსენდათ, სინდისის ქენჯნამ აიძულა მეფე, შეეწყალებინა კატორღელები. მათ წამოსაყვანად ჩასულთ ცოცხალი 12 ადამიანიღა დახვდათ. 1605 წელს ისინი საფრანგეთში ჩამოიყვანეს.

1800 წელს ინგლისის ხელისუფალთ ახალი შოტლანდიის ნახევარკუნძულის მკვიდრთა ხელში თუ სახლებში ოქროს მონეტები, ძვირფასი ნივთები, იორკის ჰერცოგის კუთვნილი გერბიანი წიგნები და ავეჯი უნახეს. სწორედ იმხანად დაიკარგა ახალი შოტლანდიიდან გასული გემი „ფრენსისი“, რომელსაც ლონდონში იორკის ჰერცოგის პირადი ნივთები უნდა ჩაეტანა.

ინგლისის საადმირალომ დაასკვნა, რომ „ფრენსისის“ დაღუპვის შემდეგ მის ბორტზე მყოფნი უკლებლივ გადარჩნენ, მშვიდობიანად მიაღწიეს სეიბლამდე, მაგრამ იქ ისინი კუნძულის მაცხოვრებლებმა დახოცეს. სეიბლზე დამსჯელი ექსპედიცია მიავლინეს. შედგა სასამართლო და გამოირკვა, რომ ხალხი დაღუპული გემიდან არავის მოუკლავს, უბრალოდ, კუნძულის მკვიდრთ ნავები არ ჰქონიათ მათ მისაშველებლად და გადასარჩენად. სწორედ ამან გადააწყვეტინა ინგლისელებს 1802 წელს სამაშველო სადგური და შუქურა აეშენებინათ სეიბლზე.

ეს პირველი სამაშველო სადგური მკვიდრად ნაგებ ფარდულს წარმოადგენდა და ნაპირებიდან 150 მეტრის მანძილზე იდგა. მასში ხის ლიანდაგებზე შემდგარი ვეშაპსანადირო ველბოტი სრულ მზადყოფნაში იმყოფებოდა. იქვე თავლაც იყო. ცხენები აქ 1738 წელს ინგლისური გემის დაღუპვის შემდეგ მოხვდნენ. მათ ცურვით მიაღწიეს ნაპირამდე და სულ მალე დიდი რაოდენობით გამრავლდნენ. უფრო სწორედ, ეს ცხენები კი არა, პონები იყვნენ, ოღონდ მოზრდილები.

პონებზე ამხედრებული ოთხი მაშველი ყოველდღე უვლიდა კუნძულს მოქცევის ზოლის გასწვრივ. ისინი ნისლში იალქნებს ეძებდნენ, ათვალიერებდნენ, ოკეანემ გემის ნამსხვრევები ხომ არ გამორიყაო. თუ კუნძულის სიახლოვეს გაჭირვებაში ჩავარდნილ გემს შენიშნავდნენ, უმალ სადგურისკენ მიქროდნენ და განგაშის ნიშანს იძლეოდნენ. მენიჩბეები ოთხ პონს შეაბამდნენ, რომლებიც ველბოტს წყლამდე მიათრევდნენ. ველბოტი მოქცევის სამ ტალღას გადალახავდა და შენიშნული გემისკენ მიეშურებოდა. ამასობაში შემთხვევის ადგილზე მისული დანარჩენი მაშველები, შუქურის ზედამხედველის ჩათვლით, ბაგირებით გემთან კავშირს ამყარებდნენ. ასეთი საშუალებით ბევრი გემის მგზავრები და ეკიპაჟი გადაურჩენიათ, ხშირად – სრული შემადგენლობითაც კი.

მართლაც, სეიბლის ისტორიამ ერთადერთი შემთხვევა იცის ისეთი, როცა ადამიანები მაშველთა დაუხმარე-

ბლად გადარჩნენ. ეს 1846 წელს მოხდა. ამერიკელ მეთევზეთა სანდალი „არგო“ ქვიშათა კუნძულის სიახლოვეს იჭერდა პალტუსს. ღამე მოულოდნელად შტორმი ატყდა. განადგურდა გემის თითქმის ყველა იალქანი, თვითონ გემიც კინაღამ გადაბრუნდა. განთიადზე კაპიტანი ჰიგინსი მიხვდა, რომ დინებამ და ქარმა გემი სეიბლის მეჩეჩზე შეაგდეს. გადარჩენა ღუზების საშუალებით თუ შეიძლებოდა და კაპიტანმა ბრძანა 20 საჟენის სიღრმეზე ჩაეშვათ ისინი. შუადღისას ნორდვესტი ცხრა ბალის სიძლიერის შტორმში გადაიზარდა. აქაფებული ოკეანე ჩანთქმით დაემუქრა გემს. ჰიგინსმა მაშველთა მოხერხებულობისა და სიფხიზლის იმედად ყოფნა არ მოინდომა და მეტად თავისებური გადაწყვეტილება მიიღო.

იმისათვის, რომ გემზე პანიკა არ ატეხილიყო, ეკიპაჟი ტრიუმში ჩაკეტა, ორი გამოცდილი მეზღვაური წინაეროდზე დააყენა ყოველ ბორტთან და იმისათვის, რომ წყალს არ გადაეგდო ისინი, მოაჯირზე მიაბა, თვითონ კი შტურვალს ჩააფრინდა. სანდალი წარმოუდგენელი სისწრაფით მიექანებოდა სანაპიროსკენ. მიბმული მეზღვაურები კასრებიდან წყალში თევზის ქონს ასხამდნენ, ქარს კი ის კუნძულისკენ მიჰქონდა და გემის წინ ამოჩენილი თევზის ქონი არბილებდა ტალღების თავს, ამ ნაცად ხერხს მეზღვაურები დღესაც მიმართავენ ტალღების გასარეკად. აქაფებულმა ტალღებმა გემი გადაატარეს და იგი უსაფრთხო ადგილზე, დიუნების ძირში აღმოჩნდა. ადამიანები გადარჩნენ, სანდალი „არგო“ კი დაიღუპა. მეორე დღეს იგი შტორმმა დაამსხვრია, ხოლო მისი ნარჩენები ქვიშამ შთანთქა.

როდესაც შუა კუნძულზე აღმართული შუქურა საბოლოოდ დაძველდა, მის ნაცვლად ორი ახალი აღმართეს – კუნძულის დასავლეთ და აღმოსავლეთ კიდეებზე. აღმოსავლეთ შუქურამ კარგა ხანს გაძლო, დასავლეთი კი დღემოკლე აღმოჩნდა. ოკეანე დასავლეთიდან უტევს კუნძულს და როგორც უკვე ვთქვით, სეიბლი მომთაბარეობს. სეიბლის არსებობის მანძილზე ოკეანემ ექვსი შუქურა შთანთქა.

1947 წელს „მენჰასეტის“ დაღუპვის შემდეგ კანადის ხელისუფალთ კუნძულზე რადიოშუქურა დადგეს, მოგვიანებით კი მის კიდეებზე კიდევ ორი შუქურა აღმართეს.

როგორც ადრე, მეტეოროლოგები დღესაც ცხენებზე ამხედრებულნი ყოველდღე უვლიან კუნძულის ნაპირებს. ათვალიერებენ, მართვადაკარგული იახტა ხომ არ გამორიყა ოკეანემ ან მატერიკიდან ზღვის დინებათა შესასწავლად გადმოგდებული ბოთლი ხომ არ გდია. ფოსტა და სურსათი სეიბლის მკვიდრთათვის ჰიდროთვითმფრინავებს ჩამოაქვთ, რომლებიც ტბაზე სხდებიან.

დღესაც ფრთხილობენ მეზღვაურები, დღესაც დაძაბულები აჰყურებიან ნისლს, როცა რადიოშუქურის მრისხანე გაფრთხილება ჩაესმით: „თქვენ სეიბლის – ჩრდილო ატლანტიკის სასაფლაოს სიახლოვეს იმყოფებით“.



## სიტყვის კონა

# რატომ ვამბობთ ასე?



**ვეშა** – მლაშე ანუ მჟავე მინერალური წყალი.

**ვირ-ეშმაკა** – ბრიყვი, მაგრამ თან ეშმაკი ადამიანი.

**ვირგლა** – დიდი, უშნო, ტლანქი და თან ბრიყვი ვინმე.

**ზადი** – ნაკლი, წუნი, მანკი.

**ზეკარი** – უღელტეხილი, გადასასვლელი.

**ზვაობა** – ამპარტავნობა, ზვიადობა, ქედმაღლობა.

**თავხოხობი** – კეკლუცი, ლამაზი, მშვენიერი.

**თვალადი** – კარგი შესახედაობის, მოხდენილი, ლამაზი, ახოვანი.

**თლაშო** – არყის სასმელი თლილი ჭიქა.

**კავშა** – თავფეხა.

**კაკარჭი** – ისრების ჩასაწყობი ბუდე, ქარქაში.

**მეშვიდე ცამდე მიწეული** – ღმერთთან ახული, უზომოდ გახარებული, მეტისმეტად კმაყოფილი, უნეტარესი. ხალხის წარმოდგენით, ცა იყო შვიდი, ერთი მეორეზე წარმოდგმული. სულ უკანასკნელ, მეშვიდე ცაზე, ანუ ყველაზე მაღლა სუფევდა ღმერთი. აქ იყო მისი ტახტი (იგივე ტრაპეზი ანუ საყდარი). მეშვიდე ცის იქით არაფერი არ უნდა ყოფილიყო.

მე ჩემი კალო გამილეწია, ზარები გადამიყენებია – ჩემი გასაკეთებელი საქმე გამიკეთებია, ჩემი მოვალეობა ამისრულებია. სოფლის მეურნეობაში კალოს ლეწვა ყველაზე უმძიმეს, სასწრაფოდ შესასრულებელ, ყველა სამუშაოს დამაგვირგვინებელ საქმედ ითვლება. ამ ხატოვან თქმაში დიდი საქმის გაკეთება, უმთავრესი მოვალეობის მოხდა იგულისხმება.

**მიშაბათება** – მიფუჩეჩება, რაიმე საქმის ნაჩქარევად გაკეთება.

წინათ, შაბათობით ყოველგვარ მუშაობას კვირის სხვა დღეებზე ადრე ამთავრებდნენ. ეკლესიაში საღამოს ზარის ჩამორეკვის შემდეგ დრო კვირაძალად ანუ კვირის ნაწილად ითვლებოდა და ამ დროს ფიზიკური მუშაობა არ ეგებოდა. ამიტომ გლეხი, თუ ყანაში მუშაობდა, ცდილობდა შაბათს ადრე დაესრულებინა სამუშაო, კვირაძალს არ მოესწრო. ამ სიჩქარესა და ფაციფუცში დაუმთავრებელი გამოუდიოდა, ბევრად ჩამორჩებოდა გულდასმით და აუჩქარებლად ნაკეთებს და შაბათის, ნაჩქარევად ნაკეთები ანუ მიშაბათებული ხდებოდა.

**მკვდარი ვირი ჩვენ ხელშია** – ჩვენ განკარგულებაშია ყველაფერი, მდგომარეობის ბატონ-პატრონები ჩვენა ვართ, ყველაფერი ჩვენ გვეკითხება.

**მოკლე თოკით დაბმა** – თავისუფლების წართმევა, მკაცრად მოქცევა. საზოგადოდ, როცა საქონელს გრძელი თოკით აბამენ საბალახოზე, ის ბალახს თავის ნებაზე მოსძოვს, ხოლო თუ ბაგაზეა ასეთივე თოკით დაბმული, შეუძლია სხვებსაც კი წაართვას საჭმელი. ერთი სიტყვით, არსებობისათვის ბრძოლაში მეტი თავისუფლება აქვს. ცხადია, მოკლედ დაბმულს ამის საშუალება ესპობა.

**ნასახლარის ნარივით რწევა, რყევა** – მერყეობა, სიმტკიცის უქონლობა, ორგულობა. ნასახლარზე ნიადაგი ნოყიერია და ზედ ამოსული ნარიც ტანს სწრაფად იყრის. ნარი წვრილია და მცირე ნიავიც კმარა, რათა მან აქეთ-იქით ქანაობა და რყევა დაიწყოს. ხატოვნად ასე იტყვიან ხოლმე ადამიანზე, რომელიც ერთ წამს რომ აქეთკენ არის, მეორე წამს სხვისკენ გადაიხრება, ერთ წუთს რომ იტყვის, მეორე წუთს სრულიად საპირისპიროს ამბობს.

ისეთი ენა აქვს, ხიდან ყვავს ჩამოაგდებს – მეტად მოქარგული ლაპარაკი იცის, მაგისი ენა ვის არ შეაცდენს, ყველას მოატყუებს.



# ვიქტორინა ჭკუის კოლოფებისთვის



1. ოშკის ეკლესიის დამამშვენებელ ამ რელიეფზე გამოსახულია ....

ა) აშოტ კურაპალატი.

ბ) ბაგრატ მეოთხე

გ) გიორგი მეხუთე



2. ამ ქართულ ხალხურ საკრავს ჰქვია...

ა) დიპლიპიტო

ბ) ჭიანური

გ) ჭიბონი



3. რა ჰქვია ყვავილს, რომელიც ადამიანებს ზარის შექმნაში დაეხმარა?

ა) მაჩიტა

ბ) ღიღილო

გ) სუმბული



4. სადაური იყო XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მეცნიერი, ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი ნილს ბორი?

ა) ნორვეგიელი

ბ) ამერიკელი

გ) დანიელი

**წინა ნომერში დაბეჭდილი ვიქტორინის პასუხები**

1 – ევროპა. 2 – საფრანგეთში. 3 – გოგონა. 4 – ბასტი.


## ინგლისური ენის სკოლა-სტუდია გთავაზობთ

ინგლისური ენის შესწავლას თქვენთვის საჭირო ინდივიდუალური პროგრამით. სწავლის პროცესში გამოიყენება თანამედროვე ბრიტანული და ამერიკული ლიტერატურა შესაბამისი ვიდეო და აუდიო მასალით.

სწავლება მიმდინარეობს როგორც ჯგუფურად (ჯგუფში მაქსიმუმ 3-4 მოსწავლე), ისე ინდივიდუალურად.

**მიიღება ნებისმიერი ასაკის მსურველი.**

**ტელ: 899 10-49-91. 98-99-81. 93-18-84.**

1 ამ ტალონის წარმოდგენისას ინგლისური ენის შესწავლის მსურველს ეძლევა გადასახადის 10%-იანი, 2 ტალონის – 20%-იანი, 3 ტალონის – 30%-იანი შეღავათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნატვრის ხეო, ნატვრის ხეო...



ვინატრებდი ნატვრის თვალს და ვთხოვდი მსოფლიო ყველა ხალხის ბედნიერებას.

**თათია მელაძე,** 8 წლის, თბილისის 24-ე საშუალო სკოლა, III კლასის მოსწავლე.



მე ვინატრებდი საქართველოს და მისი ხალხის ბედნიერებას, რომ ყველა ჯანმრთელი ყოფილიყოს. და თითოეულ ადამიანს თავისი სურვილი ახდენოდეს, ყველა პრობლემა თავიდან აეცილებინოს.

**თეონა ჭავჭავაძე,** თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, V კლასი.



მე ვოცნებობ, რომ როცა გავიზრდები, გავხდე განთქმული მხატვარი, ვიმოგზაურო დედამიწის გარშემო, შევისწავლო თითოეული ქვეყნის კულტურა და ეს ყველაფერი გავანაწილო და დავხატო ჩემს სურათში. კიდევ მინდა, რომ ყველა მიცნობდეს საქართველოში.

იონა ნიკოლაიშვილი, თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, V კლასი.



ადამიანი, რომელსაც ნატვრა არა აქვს ჯერ არ დაბადებულა. ამიტომაც მეც მაქვს ჩემი განსაკუთრებული ნატვრა. მე ვინატრებდი, რომ საქართველო ყოფილიყოს სამაგალითო და თითით საჩვენებელი ქვეყანა. ჩვენს რწმენას, ქრისტიანობას დიდი ყურადღება ყოველთვის ეთმობოდეს. ასევე ვნატრობ ჩემი ოჯახის ჯანმრთელობას. იმიტომ, რომ ცხოვრებაში არც ფული და არც ფუფუნება მთავარი არ არის. მთავარი ხომ ჯანმრთელობაა.

**კოკო ბარათაშვილი,** თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, V კლასი.



ვნატრობ დიდობაში ექიმი გამოვიდე, მე მინდა გამოვიდე მოცეკვავე, კიდევ პროფესორი, კიდევ მინდა ფეხბურთელი, სტიქაროსანი გამოვიდე და მხატვარი.

**გიორგი ნატრიაშვილი,** თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, V კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხსაცმელი არ ტყუის!

*– ასე უწოდა თავის წიგნს ამერიკელმა კარიკატურისტმა ქალმა მიმი პონდმა, რომელსაც მიაჩნია, რომ გოგონასთვის, ქალიშვილისთვის ფეხსაცმელი მარტო მოდისა და სტილის საკითხი არ არის. ფეხსაცმელს ბევრი რამის თქმა შეუძლია თავისი პატრონის ხასიათსა და ჩვევებზე.*

**სქელძირიანი, თასმებიანი ნახევრადყელიანი ფეხსაცმელი.** გოგონამ, რომელსაც ასეთი ფეხსაცმელი უყვარს, იცის, რაც უნდა. იგი თავისი გზით მიდის, გაკვალულ ბილიკებს გვერდს უქცევს. მისი ცხოვრებისეული პრინციპებია: პატივმოყვარეობა, ენერგიულობა, წარმატება.

**ნავისებრი ფეხსაცმელი.** გოგონა, რომელიც ამ სახის ფეხსაცმელს ირჩევს, ყველა ცხოვრებისეულ სიტუაციაში ბრწყინავს. იგი სტუმართმოყვარე მასპინძელია, კარგად უგებს პარტნიორს და საქმეში წარმატებას აღწევს, მას არ უყვარს მოულოდნელობები, სავსებით კონკრეტული წარმოდგენა აქვს საკუთარი ცხოვრების და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ააგოს იგი.

**მოკასინები.** თუ გაგიჭირდათ, მოკასინებიან ქალიშვილს მიმართეთ, იგი ყოველთვის კარგ რჩევა მოგცემთ. ანალიტიკური აზროვნების წყალობით ის ადვილად წყვეტს ნებისმიერ პრობლემას. მეგობრებს შეუძლიათ ყოველთვის ჰქონდეთ მისი იმედი. მოკასინების მოყვარული ქალიშვილის ოცნებაა მწვანეში ჩაფლული სახლი და უმაღლესი განათლების მქონე შვილები.

**თასმებიანი ჩექმები.** ეს ქალიშვილი რაღაცით მერი პოპინსს მოგაგონებთ. ის ყოველთვის ყურადღების ცენტრშია, თუმცა საამისოდ თვითონ არაფერს აკეთებს. ეს ადგილი მას თვით ბუნების მიერ აქვს ნაბოძები.

**„ბალერინა“ (უქუსლო ნავისებრი).** ასეთი ფეხსაცმლის მოყვარულს თავი ზღაპრების გმირად ჰყავს წარმოდგენილი. რომანტიკულ, იდეალურ სიყვარულზე მეოცნებე ქალიშვილი აუცილებლად ცეკვავს, უკრავს ფორტეპიანოზე ან ხატავს.

**სპორტული ფეხსაცმელი.** ის, ვისაც ამგვარი ფეხსაცმელი უყვარს, კარგი ამხანაგია, სრულიად დამოუკიდებელი და მუდამ თავგადასავლების ძიებაშია. მას ვერაფერი გააჩერებს. მისი ცხოვრების დევიზია – წინ, წინ და წინ.

**ლაქის ნახევარჩექმიანი.** გოგონა მხიარული, ტემპერამენტიანი, ხალისიანი, მრავალსახა და სასიცოცხლო ენერგიით აღსავსეა. ვისაც მის გვერდით სიარული სურს, აუცილებლად უნდა იყოს მოქნილი და იუმორის გრძნობით დაჯილდოებული.

**წვრილ და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი.** ასეთი ფეხსაცმლის მოყვარული ქალიშვილი ხელგაშლილად ცხოვრობს, უყვარს შამპანური, სტუმრები, ხშირად დადის ვერნისაჟებზე, სიამოვნებს, როცა მზერას აყოლებენ. მუდამ გრძნობს დროის მაჯისცემას.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფიქრის მარგალიტები



## სიმონ ჩიქოვანი

### ვინა სთქვა...

ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!
აბა, შეადგით ერთმანეთს მთები,
მთები – შემკული სხივების სირმით,
ააშრიალეთ არწივის ფრთები,
კლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის.
ყოველ მაღლობზე ციხე და კოშკი
ნახეთ, აზომეთ ოსტატის მზერით,
ან მოაგროვეთ უხსოვარ დროში
ჩვენში დაღვრილი ბუნების ფერი.
გაზომეთ ქარი თუ ქარიშხალი,
ჩამწყვდეული რომ ღმუოდა ხევით,
წყალი მქუხარი და საშიშარი
და ავარდნილი გუმბათი ზევით.
წინაპრის მიერ განვლილი სივრცე,
ჟამი – ძლეული გაფრენილ ცხენით,
და გორგასალის ნაბიჯი მტკიცე,
მთად აღბეჭდილი ქართველის რწმენით.
შეახეთ ბრძოლით გაწვრთნილი ხელი
დარუბანდიდან მოტანილ კარებს,
და გაიხსნება სამშობლო ჩემი,
უსასრულობის შემცველი მხარე.
ვინა სთქვა, თითქო პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

### ჩემო მამულო...

ჩემო მამულო, თუ დავინგრე, კვლავ ამაშენე,
სიკვდილს მომწყვიტე, ჩაგვერიე და გაგვაშველე.
შენ უწყი ჩემი საიდუმლო, ფიქრი მართალი,
ქართულ თივაში შეფუთნული, თივით გამთბარი.
აქ დავიბადე, უნდო ბედმა რა გამატანა.
სული მწყურვალი და მათარა ძლიერ პატარა.
სადაფისფერი ცის ნაჭერი ქართულ მაისის
და არა შიში ქარიშხალის და აპოკალიფსის.
თვალის სინათლევ, ორთავ თვალის, ჩემო სამშობლოვ,
მე შენთვის ვშრომობ, რომ ბოროტის კვალი გაშორო.
განლია ცრემლმა უმარილომ თვალი დამწვარი,
გაშლილ ფურცელზე ფორიაქობს შენი ნაცარი.
შენი მიმინო მხარს მიმშვენებს, ფერი ვეჟანის,
ჩემს ოცნებაში წკრიალებდა მისი ეჟვანი.
შენ ბნელოვანში გამინათე წყარო სარწმუნო,
მინდა გულიდან ვით ყურძნიდან ღვინო დავწურო,
სული, ქვევრივით თავახსნილი, როგორ ამბოხდა,
მღერა მინდოდა და ყიჟინი რისთვის აღმომხდა?!
შენ, წინაპარო, გამოცხადდი ან მომეშველე,
შემომეშველე, შენ სამშობლოვ, შემომეშველე.

* * *

მეტეხზე ხომლის წევრები ვთვალე,
კიდევ ვითვლი და ვამგვანებ ხუცურს.
მონგოლის ისრით დაჭრილი მთვარე
ახლა ჰგავს ირმის კორძიან ძუძუს.
ამ ძუძუმ კვება მთაწმინდის უბე,
აბოს კუთხე და ისნის ბორცვები,
მეც აქ დამჭრეს და არ დავიღუპე,
და ისევ ციხის ხავსს ვუხორცდები.
მთვარე ეშვება მთაზე მახათის,
იბინდება და ქრება ჭაღები.
მტკვრის ხეობაში მესმის ღაღადი
და ღამე ციხეს მიეეჯახები.
ვეტყვი: შენ იყავ კუთხე მამაცი,
კედლის წიბოდან როგორ დამბადე.
შენი პერანგი ტანზე ჩამაცვი
და აბლაბუდა ჭრილზე დამადე.
ივრის ღრუბლები ყელზე მომხვიე,
არ დამიფუშო თხელი ქულები,
ან ისნის ცისკარს კალთა მოხიე
და შემიხვიე ძველი წყლულები.
ქვაზე ნუ წაშლი პაპის ნაფიქრალს,
იგი მწეა და სულის მთაფლავი,
და გთხოვ, ეს გული ისე ჩაიკრა,
როგორც ჩაგიკრავს აბოს საფლავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტესტი

# როგორი ადამიანი ხარ?

**1. მეგობრები გაიბუტნენ, როგორ ფიქრობ: რა მიზეზით?**

ა. ერთ-ერთმა მათგანმა მეორისთვის შეყვარებულის წართმევა დააპირა.

ბ. საკონტროლო წერაზე ერთ-ერთმა მათგანმა მეორისგან გადაიწერა, რის გამოც ორიანი მიაღებინა მას.

გ. ერთ-ერთი მეორეზე ჭორებს ავრცელებდა.

**2. შენი მეგობარი ბიჭი (გოგონა) საზღვარგარეთ წავიდა სასწავლებლად, შენ კი იხელთე და ყველას ეკეკლუცები. გაწუხებს თუ არა ამ დროს სინდისი?**

ა. კი, მაგრამ ამას ყურადღებას არ ვაქცევ.

ბ. იმედი მაქვს, რომ მაპატიებს.

გ. ასეთი რამ შეიძლება ყველას დაემართოს.

**3. დილით დაგეძინა და სკოლაში დაგაგვიანდა. როგორ მოიქცევი – ნამდვილ მიზეზს ეტყვი მასწავლებელს თუ თავის გასამართლებლად რაღაცას მოიგონებ?**

ა. უბრალოდ მოვიბოდიშებ დაგვიანებისთვის.

ბ. რამეს მოვიგონებ.

გ. გამოვტყდები, რომ დამეძინა, ტყუილები ძალიან მეჯავრება.

**4. მეგობარს საიდუმლო გაანდე, მეორე დღეს კი აღმოაჩინე, რომ მის შესახებ ლამის მთელმა სკოლამ იცის. რას იფიქრებ, შენმა მეგობარმა გაგცა?**

ა. არა მგონია.

ბ. არ არის გამორიცხული, ასეთი რამეები ახასიათებს.

გ. არავითარ შემთხვევაში! ჩემი მეგობარი საიმედო და სანდო ადამიანია.

**4. ოჯახის წევრებმა ძაღლის შეძენა გადაწყვიტეს. შენ რომელი ჯიშის ძაღლს იყოლიებდი?**

ა. მე პატარა „ჯიბის ძაღლები“ მიყვარს.

ბ. საერთოდ არანაირი ძაღლი არ მინდა.

გ. ყველას დიდი მოდარაჯე ძაღლი მირჩევნია.

**6. მშობლებს ტყუილი უთხარი და მათ ამის შესახებ გაიგეს. როგორ გაიმართლებ თავს?**

ა. სპეციალურად არაფერს ავუხსნი.

ბ. მაშინვე პატიებას ვთხოვ.

გ. ვეცდები, ყველაფერი ხუმრობაში გავატარო.

**7. მეგობრის დაბადების დღეზე ცეკვის დროს უნებლიედ შენ სიმპათიას დაეჯახე. როგორ მოიქცევი?**

ა. ამას ფლირტის საბაბად გამოვიყენებ.

ბ. იქით დავადანაშაულებ მას.

გ. აუცილებლად მოვუბოდიშებ.

**8. სპორტულ თამაშში ორნი შეეჯახეთ და ერთმანეთი წააქციეთ, მოწინააღმდეგემ ბოდიში მოგიხადა. შეურიგდები თუ არა?**

ა. რა თქმა უნდა, ასეთი რამ შეიძლება ყველას დაემართოს.

ბ. მოწინააღმდეგეს სამაგიეროს გადავუხდი!

გ. არავითარ ბოდიშებს არ მივიღებ!

**შედეგები:**

*ქულები*

| | ა | ბ | გ |
|---|---|---|---|
| 1. | 0 | 3 | 6 |
| 2. | 3 | 0 | 6 |
| 3. | 0 | 6 | 3 |
| 4. | 0 | 3 | 6 |
| 5. | 0 | 3 | 6 |
| 6. | 3 | 0 | 6 |
| 7. | 6 | 0 | 3 |
| 8. | 0 | 6 | 3 |

**0-18 ქულა**

რატომ ეძებ შეცდომებს საკუთარ თავში? მეგობართა წრეშიც კი ყოველთვის ცდილობ ყველაფერი შენს თავზე აიღო. დანაშაულის გრძნობა გაწუხებს, ამიტომაც საკუთარი თავის რწმენა უნდა განიმტკიცო. შეცდომას ყველა უშვებს, მათ შორის შენც. დაიხსომე – საკუთარ თავში დარწმუნებული შენი თანატოლები გაცილებით იოლად აღწევენ ყველაფერს.

**19-36 ქულა**

ყოველთვის ცდილობ მაშინვე გამოასწორო შეცდომები. თუ მტყუანი ხარ, ბოდიშის მოხდა არ გიჭირს, იმიტომ, რომ შენი აზრით, ყოველგვარი დანაშაულის ჩაფარცხვა შეიძლება. ამიტომაც ხშირად აწყვეტინებ სიტყვას მეგობრებს, შეურაცხყოფასაც სულ იოლად აყენებ სხვას.

**37-48 ქულა**

თავი სრულყოფილ ადამიანად მიგაჩნია და საკუთარ შეცდომებს ვერასდროს ამჩნევ. სკოლაში მიღებულ ორიანშიც კი სხვებს ადანაშაულებ. გახსოვდეს – ირგვლივ მყოფთ მოსწონთ მხოლოდ ისეთი ძლიერი ადამიანები, რომლებსაც საკუთარი სისუსტეების აღიარება შეუძლიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უნდა გაგაოცოთ

## ადამიანი – სირაქლემები



ახლახან ეთნოგრაფებმა ცენტრალურ აფრიკაში, ზიმბაბვესა და ბოტსვანას შორის მდებარე ტყიან რაიონში აღმოაჩინეს სოფელი, რომლის მცხოვრებთა უმრავლესობას ფეხებზე მხოლოდ ორ-ორი თითი აქვს და თანაც ორივე - ცერა. ამ ადამიანებს ადამიან-სირაქლემებს უწოდებენ, მათ საპადიც შეარქვეს. მოხერხდა ამ უცნაური ტომის ერთ-ერთი წარმომადგენლის ინგლისში გამოსაკვლევად ჩაყვანა. ექიმები გაოცებულები დარჩნენ, მათ მსგავსი ანომალია არასდროს ენახათ. სწორედ ამის შემდეგ დაიბადა განსაზღვრება „მარწუხების სინდრომი".

ადამიანი-სირაქლემები საუცხოოდ დარბიან და საოცრად მარჯვედ დაცოცავენ ხეებზე, ტოტიდან ტოტზე და ხიდან ხეზე ისინი მაიმუნებივით გადაადგილდებიან და ასე აგროვებენ ხილს, ფოთლებს, მატლებს, რომლებისგანაც ეროვნულ კერძებს ამზადებენ.

## პოლიცია და ულვაშები



ინდოეთის ხელისუფლებამ მოუწოდა ადგილობრივ პოლიციელებს ულვაშები მოუშვან, უფრო მეტიც – ულვაშებიან წესრიგის დამცველებს მათ უულვაშო კოლეგებზე ოდნავ მეტ ხელფასს უხდიან. უფროსობის აზრით, ულვაშები დანაშაულებრიობასთან ბრძოლაში ეხმარება პოლიციას. თურმე ულვაშა პოლიციელები ყველაზე თავზე ხელაღებულ მძარცველებს და ყაჩაღებსაც კი პანიკურ შიშს გვრიან, ხოლო სამართალმორჩილ მოქალაქეებში დამსახურებულ პატივისცემას იწვევენ.

## მსოფლიოში ყველაზე პატარა ტელეფონი

ვიდრე მსოფლიოში ყველაზე პატარა მოქმედი ტელეფონის გაკეთებას შეუდგებოდა, იან კრუტევიცმა ციცქნა დეტალების ძებნაში ყველა სპეციალიზებული მაღაზია შემოიარა. მერე კი დაახლოებით ერთ თვეში მან ისეთი პაწაწკინტელა ტელეფონი ააწყო, რომ მასზე ნომრის აკრეფა მხოლოდ ასანთის ღერით შეიძლება. ციცქნა ტელეფონი სპიკერფონის პრინციპით მუშაობს – პირიდან ყურამდე ეს მოწყობილობა ნამდვილად ვერ წვდება.



## ყველაზე მაღალი „ამერიკული მთები"

ნიუ-იორკის სიახლოვეს, ნიუ-ჯერსის გარეუბანში მოწყობილი ახალი ატრაქციონი მსოფლიოში ყველაზე დიდი და სწრაფი „ამერიკული მთები" იქნება. მგზავრებიანი პატარა ვაგონი საათში 192 კმ. სიჩქარეს განავითარებს, ტყვიასავით ავარდება ატრაქციონის ყველაზე მაღალ „მთაზე", მერე კი 50 სართულიანი ცათამბჯენის სიმაღლიდან მოწყდება და ძირს დაეშვება. როდესაც ვაგონი დაბლა დაეშვება, მისი მგზავრები 50 წამის განმავლობაში უწონადობის მდგომარეობაში დაჰყოფენ. მას, ვინც ამ გამოცდას გაუძლებს, თავისუფლად შეეძლება კოსმონავტების რაზმში ჩაეწეროს.



# ბუნების კარი

ამერიკელი ვეტერინარი მეცნიერების აზრით, ბევრი ცხოველი, ფრინველი თუ თევზი, რომელიც შინ გყავთ, ყველა წამალზე უკეთესი მკურნალია. და აი, რატომ:



1. როცა ძაღლს ეფერები და ბეწვზე ხელს უსვამ, პულსი და წნევა ნორმაში მოდის.



2. როცა სახლში კატა გყავთ, ბავშვს უფრო იშვიათად ემართება ასთმა და ალერგია.



3. შინაური ცხოველების პატრონები ბევრად უფრო მშვიდები არიან და ნაკლებად ავლენენ დეპრესიისადმი მიდრეკილებას.



4. თევზების ყურება ამშვიდებს ადამიანს. ამიტომაც დგას ბევრ სტომატოლოგიურ კაბინეტში აკვარიუმები.

**ბავშვები, რომლებსაც შინაური ცხოველები თუ ფრინველები ჰყავთ, ნაკლებად ავადმყოფობენ; მათი იმუნური სისტემა უფრო მტკიცეა.**



## კუნძულიდან კუნძულამდე

უკვე 80 წელია რაც ჩინკოტინგ-პონები კუნძულ ასატიგიდან ცურვით აღწევენ კუნძულ ჩინკოტიგს, სადაც იმართება ამ პატარა ცხენების ტრადიციული ბაზრობა, რომლის შემოსავალიც ადგილობრივ ნებაყოფლობით სახანძრო რაზმს ხმარდება. არავინ იცის, როდის გაჩნდა გარეული პონების რემა ამ კუნძულზე, სადაც ამჟამად ნაკრძალია. ერთი ვერსიით, XVII საუკუნეში აქ დასახლებულმა ადამიანებმა თავისუფლება მიანიჭეს საკუთარ ცხენებს და ბუნებაში გაუშვეს. კუნძულ ჩინკოტიგზე გაზაფხულზე დაბადებული კვიცები აუქციონზე გაჰყავთ, დანარჩენი რემა კი უკან, ასატიგზე მიცურავს.

## გველებს ძაღლები დაიცავენ

ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი სახეობის ლუიზიანურ ფიჭვის გველებს გადაშენება ემუქრება. ისინი მხოლოდ ჩრდილო ამერიკაში, ლუიზიანისა და ტეხასის ფიჭვის ტყეებში გვხვდება. მეტყევეები ცდილობენ დაიცვან ეს იშვიათი ქვეწარმავლები, მაგრამ საამისოდ ჯერ მათი რიცხოვნობა უნდა დადგინდეს, რაც არც ისე იოლია. საქმე ის არის, რომ ლუიზიანური გველები დროის უმეტეს ნაწილს მიწის ქვეშ ატარებენ და ცხადია, მათი დანახვაც და აღრიცხვაც შეუძლებელია. თუმცა ბუნების მცველებმა მაინც მოძებნეს გამოსავალი და საქმეში ძაღლები ჩართეს. მალე ჭკვიან ძაღლებს მიწისქვეშა სოროებში გველების ყნოსვით მიგნებას ასწავლიან და ამოცანაც გაიოლდება.



## უზოლებო ზებრა



კენიის ნაკრძალში დაიბადა უზოლებო, ალბინოსი ზებრა. სინამდვილეში პატარას ზოლები აქვს, მაგრამ ისინიც თეთრია და არა შავი, ამიტომაც უყურებენ თანამოძმეები ამ პატარას ისე, როგორც თეთრ ყვავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცილის გაკვეთილი

* * *

დედა:

– რამდენჯერ გითხარი, რომ არ შეიძლება ამდენი თოვლის პაპების გაკეთება, მთელი ეზო აივსო, ერთი ცალი გარაჟის შესასვლელთანაც დაგიდგამს.

შვილი:

– დედა, მე თოვლის პაპა არ გამიკეთებია!

– აბა, გარაჟის წინ რა დგას?

– არ ვიცი.

– ვაიმე, მგონი, მამაჩემის შინ შემოყვანა დაგვავიწყდა...

* * *

შვილიშვილი ეკითხება ბებიას:

– ბებო, რა ემართება ადამიანს სიკვდილის შემდეგ?

– მტვერად იქცევა, შვილო!

შეშინებულმა გოგონამ ხუთი წუთის შემდეგ ბებიასთან მიირბინა:

– ბებო, შენი საწოლის ქვეშ მკვდარი ადამიანია.

* * *

– ჟაკ, გინდა დღეს ერთად ვივახშმოთ?

– მაგარი იქნება, პიერ!

– ძალიან კარგი, მაშინ ზუსტად რვა საათზე თქვენთან ვიქნები.

* * *

მასწავლებელი: დაასახელეთ არსება, რომელსაც წყალზეც შეუძლია ცხოვრება და ხმელეთზეც.

მოსწავლე: მეზღვაური.

* * *

მასწავლებელი: ბავშვებო, თქვენ ალბათ იცით, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს.

მოსწავლე: ეგ კი ვიცით, მაგრამ საინტერესოა, მაშინ რაღას შვრება დედამიწა, როცა მზე ჩადის?

* * *

– ჰანს, მიპასუხე, როდის არის ყველაზე კარგი დრო ვაშლის მოსაკრეფად?

– როდის და, როცა მეზალე სახლში არ არის და არც ძაღლი ჭაჭანებს ახლომახლო.

* * *

– მასწავლებელო, თქვენ ჩემი საშინაო დავალება კი შეამოწმეთ, მაგრამ ვერაფრით ვერ გავარჩიე, ბოლოში რა დაგიწერიათ.

– რა ვერ გაარჩიე? მე დაგიწერე: „გარკვევით წერე!“

* * *

მამამ კარელი ზოოპარკში წაიყვანა. ვეფხვის გალიასთან ბიჭმა დაინახა ფირნიში წარწერით: „ფრთხილად, შეღებილია!“

კარელმა დიდხან უყურა ვეფხვს, მერე კი იმედგაცრუებულმა თქვა:

– შეღებილი ყოფილა, მე კი მეგონა ზოლები ნამდვილი იყო.



* * *

– მითხარით, გეთაყვა, რას გააკეთებს თქვენი შვილი, როცა ბოლოს და ბოლოს სწავლა-განათლებას დაასრულებს?

– ვფიქრობ, პენსიაზე გავა.

* * *

– ტოტო, სულ იმას გიჩიჩინებ, ტყუილს ნუ იტყვი-მეთქი. შენხელა რომ ვიყავი, არ ვცრუობდი.

– აბა, როდის დაიწყე, მამა?!

* * *

– აბა ერთი, დღიური მომიტანე, ვნახოთ, რა ნიშნები გაქვს, – უთხრა მამამ სკოლიდან დაბრუნებულ პიერს.

– რა არის, მამა, იცი, ჩემი დღიური ანდრეს ვათხოვე, ასე მითხრა, მინდა მამაჩემი შევაშინოო.

* * *

მასწავლებელი: როგორ ზრდიდნენ ძველი სპარტელები ბიჭებს?

მოწავლე: ისინი ბიჭებს ასწავლიდნენ, რომ მეტროთი მგზავრობისას უფროსებისთვის ადგილი უნდა დაეთმოთ.

# ინილო — შინილო

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი



შვეულად: 1. აფრიკის სახელმწიფო. 2. დაფა, რომელზედაც წარწერილი, წარმოების, დაწესებულების სახელწოდება. 3. ავტომობილის კორპუსის ნაწილი. 4. მანძილი ეკვატორიდან ჩრდილოეთ ან სამხრეთ პოლუსისამდე. 5. სოფელი თეთრიწყაროს რაიონში. 7. ქიმიური ფეთქებადი ნივთიერება. 9. გარეული ცხოველი. 12. ცხვრის ნაშიერი ექვს თვემდე. 13. ქალაქი და შტატი აშშ-ში. 15. ადამიანის სიცოცხლის ესა თუ ის ხანა. 17. გორის რაიონის სოფელი. 20. რისამე ფასი კერძო ბაზარში. 21. საქმიანობა, როგორც იპირადი გამდიდრების წყარო, საქმოსნობა. 24. რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი, ნიშნავს: თვით, თავისი. 26. მომცრო შინაური ფრინველი. 27. ორწლიანი ბოსტნეული მცენარე. 30. დროებითი ქაღალდის ფულის ნიშანი. 31. სახის გამომეტყველება, გარეგნობა.

თარაზულად: 5. მინერალური წყალი. 6. პატარა გემი მოკლე მანძილზე სამოგზაუროდ. 8. ბალახოვანი დეკორატიული მცენარე. 10. საქართველოს რაიონული ცენტრი. 11. სწორი ხმალი. 14. აზრი, ჩანაფიქრი. 16. ინდონეზიის დედაქალაქი. 17. ბრტყელი ნაჭერი ქვისა, თიხისა, ლითონისა და სხვა. 18. ზღაპრული შინაარსის იგავი. 19. თოფზე ჩამოსაცმელი ტყავის ბუდე. 22. მოწყობილობა ბგერითი სიგნალისათვის. 23. სამი სახელმწიფოს სამხედრო შეთანხმება. 25. დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. 28. მცხეთის რაიონის სოფელი. 29. დამახასიათებელი სუნის გაზი, რომელიც წარმოადგენს სახეშეცვლილ ჟანგბადს და აქვს ძლიერი დამჟანგველი თვისება. 30. მაღალხარისხოვანი მინა. 32. რაიმე ბანდის მეთაური. 33. კასპის რაიონის სოფელი.

## თავსატეხი



ჩაწერეთ მსოფლიოს მდინარეების სახელწოდებები ისე, რომ მუქ სვეტში მიიღოთ ნობელის პრემიის პირველი ლაურეატის გვარი.

## გამოიცანი

ნახატზე მოცემულმა თოთხმეტივე საგანმა: კარის სახელურმა, ფანქარმა, ქოლგამ, კბილის ჯაგრისმა, გაზმა, ჩაქუჩმა, კოვზმა, ფინჯანმა, გასაღებმა, ტელეფონის ყურმილმა, ელექტრონათურამ, ბოთლმა, მაკრატელმა, სახრახნისმა თავისი კვალი დატოვა ხელისგულზე.

დააკვირდით ანაბეჭდებს ხელისგულზე და გამოიცანით: რომელ ხელს რომელი საგანი ეჭირა?



# საქართველო [illegible]



მცხეთის რ-ნი, ციხისძირის საშუალო სკოლა, I კლასი, ხელმძღვანელი
**ცისანა აბულაშვილი**



მცხეთის რ-ნი, გალავანის საშუალო სკოლა, II კლასი, ხელმძღვანელი
**[illegible]ისინო რომელაშვილი**



მცხეთის რ-ნი, საგურამოს საშუალო სკოლა, I კლასი, ხელმძღვანელი
**ხათუნა ბორძიკული**



მცხეთის რ-ნი, ციხისძირის საშუალო სკოლა, I კლასი, ხელმძღვანელი
**ლალი ოსიპოვი**



მცხეთის რ-ნი, საგურამოს საშუალო სკოლა, III კლასი, ხელმძღვანელი
**გულნაზ კერესელიძე**



მცხეთის მე-2 საშუალო სკოლა, II კლასი, ხელმძღვანელი
**მაყვალა ირემაშვილი**

ოლეგ გველესიანის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ვერნისაჟი





**ომარ სულაშვილი**, მცხეთის რაიონის საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლის V კლასის მოსწავლე.

---



**თამარ ასათიანი**, თბილისის წმ. გიორგის სახელობის საერო სკოლის III კლასის მოსწავლე.



**მარიამ ნადირაძე**, თბილისის წმ. გიორგის სახელობის საერო სკოლის III კლასის მოსწავლე.